მეუღლეთა კანონისმიერი (თანასაკუთრებითი) ურთიერთობები

ნინო შენგელია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიულ ფაკულტეტზე კერძო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომის
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკატერინე შენგელია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2019 წელი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო შენგელია

სარჩევი

შესავალი 4

1. მეუღლეთა კანონისმიერი პირადი ურთიერთობები 5

1.1 გვარის არჩევის და საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის უფლება 8

1.2 საქმიანობის და საცხოვრებელი ადგილის დამოუკიდებლად არჩევის უფლება 10

2. მეუღლეთა კანონისმიერი ქონებრივი უფლება მოვალეობანი 13

2.1 მეუღლეთა თანასაკუთრებითი ურთიერთობები 13

2.1.1 მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება 18

2.1.2 მეუღლეთა თანასაკუთრება 20

2.1.3 საჯარო რეესტრის მნიშვნელობა თანასაკუთრების დროს 23

2.1.4 კეთილსინდისეირი შემძენი თანასაკუთრების დროს 26

2.1.5 თანასაკუთრების განკარგვა 27

2.1.6 სასამართლო პრაქტიკა თანასაკუთრების განკარგვასთან დაკავშირებით 30

2.1.7 მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფა 39

2.1.8 მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი 43

2.2 მეუღლეთა ქონებრივი ვალდებულებები 47

დასკვნა 49

ბიბლიოგრაფია 51

შესავალი

ქორწინებასა და ოჯახს თითოეული ადამიანის საზოგადოებრივ განვითარებასა და ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი რომ უჭირავს, ამის ნათელი გამოხატულებაა ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტები. 1948 წლის 10 დეკემბრის "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია", 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი "ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ", 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი "სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ" აღიარებს, რომ ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების ბუნებრივ და ძირითად უჯრედს და, შესაბამისად, გააჩნია დაცვის უფლება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან. მაგალითად, საბერძნეთის კონსტიტუციაში ოჯახი განიხილება როგორც ერის შენარჩუნებისა და განვითარების საფუძველი. ოჯახის შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმებმა ასახვა ჰპოვა საქართველოს კანონმდებლობაშიც.

საოჯახო ურთიერთობების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ მას ცალკე კარი ეთმობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. სამოქალაქო კოდექსი საოჯახო სამართლის წიგნს რამდენიმე კარად ჰყოფს. ჩვენი ნაშრომის მიზანია განხილულ იქნას მეუღლეთა კანონისმიერი ურთიერთბები, რაც სამოქალაქო კოდექსის პირველი კარის განუყოფელი ნაწილია. ამასთანავე, გამოკვეთილ იქნას კანონმდებლობაში არსებული ის ხარვეზები, რაც პრაქტიკაში უფლების განხორციელების შემაფერხებელ გარემოებას ქმნიან და საბოლოოდ, მოძიებულ იქნას პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზები და აირჩეს მათგან საუკეთესო.

ნაშრომში განხილული თემა აქტუალურია მისი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე. მოქალაქეთა დიდი ნაწილი ცხოვრების გზაზე დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯს და ქმნის ოჯახს, ავტომატურად, გაუაზრებლად კი ხდება საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე. აღსანიშნავია საქართველოს მოსახლეობის სამართლებრივი შემეცნების შედარებით დაბალი დონე, რადგან ხშირ შემთხევებში ქართველმა მეუღლეებმა არ იციან არც თავისი სამართლებრივი უფლებები და არც მოვალეობები. ხშირად ეს არის მიზეზი გენდერული უთანასწორობისა, ოჯახური ძალადობისა და საბოლოოდ დანგრეული ოჯახებისა. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ თემა აქტუალური იქნება მანამ

სანამ აქტუალურია ზოგადად ოჯახის ინსტიტუტი. მით უმეტეს რომ ქართულ კანონმდებლობას საოჯახო სამართალში აქვს ისეთი ხარვეზები, რაც უცილობლად საჭიროებს გამოსწორებას.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის რამდენიმე ძირითადი თავისა და დასკვნისგან, ნაშრომის პირველ შესავალში განხილულია ნაშრომის სტრუქტურა, აქტუალურობა და ძირითადი მიზნები, ნაშრომის მეორე თავი განიხილავს მეუღლეთა კანონისმიერ პირად უფლებებს, განმარტავს თითოეულ მათგანს, ხოლო ნაშრომის მესამე თავში ჩაშლილია მეუღლეთა თანასაკუთრებასთან დაკავშირებული კანონისმიერი ქონებრივი უფლებები, მათ შორის გამიჯნულია ერთმანეთისგან ინდივიდუალური და თანასაკუთრება, საუბარია თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივ გზებზე, თანასაკუთრების განკარგვაზე, გაყოფაზე, მოძიებულია სასამართლო პრაქტიკა თანასაკუთრებასთან დაკავშირებით. ნაშრომის ბოლოს გაკეთებულია დასკვნა, სადაც მოძებნილია საკანონმდებლო ხარვეზების გამოსასწორებლად საუკეთესო ალტერნატიული გზა.

1. მეუღლეთა კანონისმიერი პირადი ურთიერთობები

ქორწინების შემდგომ იქმნება ოჯახი, ოჯახის შექმნის დროს კი ოჯახის წევრებს შორის ყალიბდება მთელი რიგი პირადი და ქონებრივი ურთიერთობები.[1] როგორც წესი, ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობათა უდიდესი ნაწილი სამართალს გარეთ რჩება და წესრიგდება სიყვარულით გამოწვეული სხვადასხვა გრძნობებით.[2] თუმცა, ვინაიდან სამართლის ფუნქციაა ყოველგვარი სამოქალაქო ურთიერთობა თავის ჩარჩოებში მოაქციოს, მეუღლეთა შორის წარმოშობილ პირად და ქონებრივ ურთიერთობებს სამოქალაქო კოდექსის საოჯახო ნაწილში მთელი რიგი ნორმები ეთმობა.[3]

მეუღლეთა შორის პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობები ნაწილდება თანასწორობის პრინციპის საფუძველზე, რასაც განამტკიცებს როგორც საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, ასევე საქართველოს უზენაესი კანონი,

---

[1] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი, გვერდი 33

[2] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები,სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი,
გვერდი 33

[3] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი, გვერდი 33

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი. თუმცა კონსტიტუციის ამ მუხლის უფრო დეტალური გამოხატულება არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლი, რომელშიც განმტკიცებულია მეუღლეთა თანაბარი უფლებები და მოვალეობები; [4]

ქორწინების შედეგად წარმოშობილ მეუღლეთა პირადი უფლება-მოვალეობები არსებითად განსხვავდება ქონებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობებისგან. მეუღლეებს პირადი უფლებების მნიშნველოვანი ნაწილი გააჩნიათ დაქორწინებამდეც.

მეუღლეები როგორც პირადი, ასევე ქონებრივი ურთიერთობების რეგულირებისას თანასწორნი არიან როგორც ერთმანეთის, ასევე კანონის წინაშე.[5] აღნიშნულს საფუძვლად დაედო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და საქართველოს კონსტიტუცია, სახელდობრ, მე-14 მუხლი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას და აწესებს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს. ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობების თანაბრობა საოჯახო ურთიერთობათა არსებობის ყველა ეტაპისთვის კანონით გარანტირებული აუცილებლობაა.[6]

მეუღლეთა პირადი უფლებების შემზღუდავი შეთანხმებები კანონსაწინააღმდეგოა და შესაბამისად მას არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი ძალა. მაგალითად, პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები როცა მეუღლეებს მიუმართავთ ნოტარიუსისთვის სანოტარო ძალით დაემტკიცებინათ რომ ერთ-ერთი მეუღლე არ იმუშავებდა რომელიმე კონკრეტულ სფეროში.[7] ამგვარი შეთანხმება წარმოადგენს მეუღლის პირადი უფლების შეზღუდვას, რადგან ყველა ადამიანს

[4] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი, გვერდი 33

[5] მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები,მართლმსაჯულება და კანონი, N2'11, თეა კალანდაძე, გვერდი 100

[6] მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები,მართლმსაჯულება და კანონი, N2'11, თეა კალანდაძე, გვერდი 100

[7] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები,სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი, გვერდი 33

აქვს თავისუფლება აირჩიოს პროფესია და საქმიანობის სფერო, შესაბამისად აღნიშნული შეთანხმება ბათილია.[8]

მეუღლეთა შორის ურთიერთობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა და ადგილი უჭირავს მეუღლეთა პირად ურთიერთობებს. ქორწინება მეუღლეთა პირადი კავშირია, რასაც საფუძვლად უდევს ურთიერთპატივისცემა და მტკიცე ოჯახის შექმნის სურვილი.[9]

მეუღლეთა პირადი ურთიერთობები რეგულირდება საოჯახო სამართლის ნორმებით და ისინი წარმოიშობიან მეუღლეებს შორის არამატერიალურ ფასეულობათა გამო,[10] ქორწინებისას ან ქორწინების შეწყვეტისას: გვარის არჩევის საკითხი, შვილად აყვანაზე თანხმობის გაცხადების საკითხი, ქორწინების შეწყვეტის საკითხი და ა.შ.[11]

„მეუღლეთა პირად ურთიერთობებს არ გააჩნიათ მატერიალური ექვივალენტი.“[12] ისინი დაკავშირებული არიან მის მფლობელ რომელიმე კონკრეტულ მეუღლესთან, რომელიც მას საკუთარი შეხედულებისამებრ, საკუთარი ნებასურვილით იყენებს. მსგავსი უფლება- მოვალეობები შეუძლებელია წარმოიშვას, გასხვისდეს, შეწყდეს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.[13]

მართალია მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო შეთახნმება, რითაც დაარეგულირონ თავიანი ურთიერთობები, თუმცა კანონი პირდაპირ განსაზღვრავს რომ მსგავსი შეთანმხების დადება შესაძლებელია მხოლოდ ქონებრივ უფლებებზე და არა პირადზე.[14] ხოლო თუ საქორწინო ხელშეკრულებაში მაინც არის ჩანაწერი მეუღლეთა პირადი უფლებების

---

[8] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი, გვერდი 33

[9] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2015 წელი, მერიდიანი, გვერდი 112

[10] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები,სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი, გვერდი 33

[11] მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, მართლმსაჯულება და კანონი, N2’11 თეა კალანდაძე, გვერდი 100

[12] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი, გვერდი 34

[13] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი, გვერდი 34

[14] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი, გვერდი 34

შეზღუდვაზე, ხელშეკრულების აღნიშნული ჩანაწერი ბათილად უნდა იქნას ცნობილი.[15]

1.1 გვარის არჩევის და საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის უფლება

მეუღლეთა ქორწინების მომენტიდან პირველ რიგში წარმოიშვება მეუღლეთა ისეთი პირადი უფლებები როგორიცაა გვარის არჩევის და საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის უფლება.[16]

ამ მხრივ საინტერესოა რევოლუციამდელი საქართველოს კანონმდებლობა.[17]ძველი კანონმდებლობის მიხედვით, მას შემდეგ რაც ქალი ქორწინდებოდა, ის კარგავდა თავის გვარს და ავტომატურად, საკუთარი ნების გამოუხატავად ხდებოდა ქმრის გვარის მატარებელი. კანონის ეს ჩანაწერი, ქალის ნების გამოვლენის შეზღუდვასთან ერთად, ხაზს უსვამდა მამაკაცის უპირატესობას საოჯახო ურთიერთობაში, ის ქალს უფლებას ართმევდა შეენარჩუნებინა თავისი ძველი გვარი, იმის მიუხედავად რომ შესაძლოა ქალისთვის თავისი გვარი განსაკუთრებული მნიშვნელობის ყოფილიყო.[18] ნებისმიერი ადამიანისთვის ზოგჯერ აუცილებელიცაა გვარის შენარჩუნება, რადგან მასთანაა დაკავშირებული მათი შემოქმედებითი ცხოვრება, მათი ინდივიდუალიზაცია, სწორედ ამიტომ ძველი კანონმდებლობის ეს მუხლი არამხოლოდ გენდერული თანასწორობის დამრღვევი იყო, არამედ ქალის პირადი უფლებების შემზღუდავიც.[19]

თანამედროვე ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ქორწინების დროს მეუღლეები დამოუკიდებლად, საკუთარი სურვილისამებრ, ირჩევენ გვარს, რომელსაც ქორწინების შემდგომ ატარებენ. ეს შეიძლება იყოს რომელიმე

---

[15] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი, გვერდი 34

[16] საოჯახო სამართალი, მერიდიანი, შალვა ჩიკვაშვილი, 2004 წელი

[17] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი, გვერდი 34

[18] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი, გვერდი 34

[19] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი, გვერდი 34

მეუღლის ერთი გვარი, მეუღლეების გვარებისგან შეერთებული საერთო გვარი. გვარის არჩევის დროს მთავარი პრინციპია თავისუფალი ნება და მხარეთა ურთიერთანასწორობა, სწორედ ამის მანიშნებელია ის ფაქტიც რომ შესაძლოა ერთ-ერთმა მეუღლემ გადაწყვიტოს პირველი ქორწინების დროს მიღებული გვარის დატოვება, ან შეუძლია დაიტოვოს ის გვარი, რომელიც მას ქორწინებამდე ჰქონდა.[20](პრაქტიკაში, როგორც წესი ცოლი ღებულობს ქმრის გვარს, თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ქმარი გადმოდის ცოლის გვარზე. იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები როცა საერთო გვარს ღებულობენ მეუღლეები, ასეთ დროს მეუღლეთა გვარები დეფისით გამოიყოფა და ოჯახური ერთიანობის სიმბოლოა).

საგულისხმოა ისიც, რომ გვარის არჩევის უფლება ხელშეუხებელია მეუღლეთა განქორწინების შემთხვევაშიც, განქორწინების დროსაც კი მეუღლეებს უფლება აქვთ დაიტოვონ ქორწინების დროს მიღებული გვარი და მეორე მეუღლის ნებას და აზრს ამ შემთხვევაში არანაირი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება, ან ასევე, ყოფილ მეუღლეს შეუძლია სასამართლოს მიმართოს და დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი. მიუხედავად ამდენად თავისუფალი მიდგომისა გვარის არჩევის დროს, კანონი მაინც შეიცავს გარკვეულ აკრძალვას: „არ შეიძლება სამი ან ოთხი გვრის შეერთეა, როცა ორივე მეუღლეს ან ერთ-ერთ მათგანს უკვე აქვს შეერთებული გვარი.“[21]

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პირადი უფლება, რაც ქორწინების წარმოშობას ახლავს თან არის საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის უფლება. როდესაც ორი თანასწორუფლებიანი ინდივიდი ქორწინდება და შესაბამისად ქმნის ოჯახს, მათ უმთავრესს და ყველაზე მაღალ ღირებულ სურვილს წარმოადგენს შვილების გაჩენა და აღზრდა. საოჯახო საკითხების ერთოვლივად გადაწყვეტის უფლებაში იგულისხმება მეუღლეთა უფლება თავად გადაწყვიტონ როდის გააჩინონ შვილები, რამდენი გააჩინონ, როგორ აღზარდონ, რა მიდგომები გამოიყენონ, რომელ სკოლაში შეიყვანონ, რომელ ბაღში, რა რელიგიური თუ სხვა იდეოლოგიით აღზარდონ და ა.შ.[22] ეს უფლება ოჯახს

[20] საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2011 წელი, რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, გვერდი 149

[21] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი, გვერდი 35

[22] საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2011 წელი, რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, გვერდი 150

აძლევს საშუალებას აღქმულ იყოს როგორც საზოგადოების შემადგენელი, მაგრამ განცალკევებული ინდივიდი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოების სხვა წევრებს, გარდა კანონით გათვალისწინებული კონკრეტული შემთხვევებისა, არ აქვთ უფლება ჩაერიონ საოჯახო საკითხების გადაწყვეტაში.[23] ამავდროულად, ამავე უფლებაში მოიაზრება თითოეული მშობლის მოვალეობა მეორე მშობელთან ერთობლიობაში გაუძღვეს საოჯახო საკითხებს: „არც ერთ მშობელს არ აქვს უფლება დამოუკიდებლად გადწყვიტოს შვილის აღზრდასთან დაკავშირებული რომელიმე საკითხი.“[24] როდესაც ოჯახი ერთიანია, მშობლები ერთად ცხოვრობენ და ერთად უძღვებიან საოჯახო საქმიანობას, მსგავსი პრობელები როგორც წესი თავს არ იჩენს, თუმცა პრობლემა აქტუალური ხდება როდესაც მეუღლეები განქორწინებულები არიან, ან როცა უბრალოდ ცალკე ცხოვრობენ.[25] სადავო საკითხებს წყვეტენ სპეციალური კომპეტენციის მქონე ორგანოები. ასეთ დროს კი ყველაზე განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება არასრულწლოვანი შვილების უფლებების დაცვის გარანტიების უზრუნველყოფას.[26]

1.2 საქმიანობის და საცხოვრებელი ადგილის დამოუკიდებლად არჩევის უფლება

მეუღლეებს დამოუკიდებლად შეუძლიათ აირჩიონ საქმიანობა და საცხოვრებელი ადგილი.[27]

თითოეული მეუღლის საქმიანობა თავის მხრივ ოჯახის კეთილდღეობაზე ახდენს გარკვეულ გავლენას.რადგან თითოეული მეუღლე გარკვეულწილად „მოვალეა“ მატერიალურად უზრუნველყოს საკუთარი ოჯახი, ამის მიუხედავად არ შეიძლება მეუღლის იძულება იშრომოს ოჯახის საკეთილდღეოდ, დაკავდეს კონკრეტული

[23] საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2011 წელი, რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, გვერდი 150

[24] საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2011 წელი, რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, გვერდი 150

[25] საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2011 წელი, რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, გვერდი 151

[26] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ. 151

[27] საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2011 წელი, რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, გვერდი 151

საქმიანობით ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ან უარი განაცხადოს მის მიერ არჩეულ საქმიანობაზე.[28]

მეუღლეები დამოუკიდებლად ირჩევენ საქმიანობას, თითეული მეუღლეს შეუძლია რეკომენდაციების და რჩევების საფუძველზე დაეხმაროს მეორე მეუღლეს აირჩიოს თავისი საქმიანობა, მით უმეტეს რომ მეუღლის საქმიანობა შესაძლებელია შეეხოს რჩევის მიმღები მეუღლის ან მთლიანად ოჯახის ინტერესებს, ეს მნიშნველოვანი საკითხი მეუღლეებმა ერთობლივად უნდა განიხილონ, რაც გამორიცხავს ერთი მეუღლის მიერ მეორის იძულებას განახორციელოს ან არ განახორციელოს რაიმე კონკრეტული საქმიანობა.

რადგან ყველა ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა, რადგან თავად ოჯახის შექმნაც ინდივიდის დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილების შედეგია და რადგან ყველა ადამიანს აქვს უფლება თავად განსაზღვროს თავისი პროფესიული თვითგამორკვევა, საქმიანობის არჩევის უფლებაც საოჯახო სამართალში ქორწინების შემდგომ უცვლელად რჩება. რა თქმა უნდა, აღნიშნული არ გამორიცხავს მეუღლეების უფლებას ოჯახისა და შვილების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე ურთიერთშეთანხმებით აირჩიონ საქმიანობა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას თითოეულის მიერ დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე.

აღნიშნული უფლება მეუღლეებს აქვთ ქორწინებამდეც და ქორწინების შემდგომაც უცვლელად გადმოჰყვებათ, ყველა ინდივიდის გადაწყვეტილება საქმიანობის სახისა და პროფესიის არჩევის დროს უნდა ეფუძნებოდეს მის ინტერესს, ფიზიკურ და შემოქმედებით შესაძლებლობებს, მიდრეკილებას და ა.შ.[29] ამ უფლების განხორციელებაზე მეტწილადაა დამოკიდებული ადამიანის თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, შესაბამისად თვითკმაყოფილება და თანმდევად, ოჯახური სიმშვიდის მოპოვებაც.

ზოგადად, ახალ დაქორწინებული მეუღლეების ურყევი და ძირითადი მამოძრავებელი ძალაა ერთად ცხოვრების სურვილი, თუმცა ცალკეული

[28] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი, გვერდი 36

[29] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ. 151

ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო შესაძლებელია მეუღლეთა საცხოვრებელ ადგილად განსხვავებული ადგილები შეირჩეს.[30] კანონის ეს დანაწესი არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად რომ თითქოს კანონი მოუწოდებს მეუღლეებს იცხოვრონ ცალ-ცალკე, არამედ ეს ნორმა იცავს მეუღლეების უფლებების იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მათგანს არ სურს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.[31]

საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებაში, ყველაზე უკეთ არის გამოხატული გენდერული თანასწორობის იდეა, მით უმეტეს ისეთ სახელმწიფოში როგორიც საქართველოა, სადაც დღემდე მწვავედ დგას გენდერული თანასწორობის საკითხი.

საოჯახო კანონმდებლობის მიხედვით, მეუღლეებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი.[32] იქნება ეს რომელიმე მეუღლის ქორწინებამდელი საცხოვრებელი ადგილი, ახალი საცხოვრებელი ადგილი თუ მეუღლეთა განსხვავებული საცხოვრებელი ადგილი.

ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ადრეფეოდალურ საქართველოში ქმრის საცხოვრებელი ადგილი ითვლებოდა ცოლის საცხოვრებელ ადგილად, ეს თავისი შინაარსით გენდერული უთანასწორობის მანიშნებელი იყო და აკნინებდა ცოლის, როგორც ოჯახის თანასწორუფლებიანი სუბიექტის როლს. უფრო მოგვიანებით, ქართულ სამართალში გაჩნდა „ჩასიძების“ ინსტიტუტი, როცა ქმარი გადადიოდა ცოლის საცხოვრებელ ადგილას, თუმცა ქმარს ასეთ დროს სრულყოფილი ქმრის სტატუსი არ ჰქონდა და საზოგადოებაში დაკნინებული რეპუტაციით სარგებლობდა,[33] თანამედროვე სამართლის ჩანაწერი საცხოვრებელი ადგილის თავისუფალ არჩევანზე ემსახურება სწორედ ცოლისა და ქმრის თანასწორუბლებიანობას. უფრო მეტიც, კანონი მეუღლეებს არ ანიჭებს ერთად ცხოვრების ვალდებულებას, ერთი მეუღლის მიერ საცხოვრებელი

[30] მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, სამართალი, #5-6, 2002 წელი, ნინო შოშიაშვილი, გვერდი 35

[31] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ. 152

[32] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ. 152

[33] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ. 152

ადგილის ცვლილება არ არის აუცილებელი წინაპირობა იმისთვის რომ მეორე მეუღლემაც შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი, ან სულაც, შესაძლებელია ქორწინების მომენტიდანვე მეუღლეებს ცალკე ცხოვრება ჰქონდეთ გადაწყვეტილი.[34] თუმცა, მიუხედავად ამისა, კანონმდებლობა ყველანაირა ცდილობს სტიმული მისცეს მეუღლეთა სურვილს, იცხოვრონ ერთად და შეინარჩუნონ ოჯახური ერთიანობა.[35]

2. მეუღლეთა კანონისმიერი ქონებრივი უფლება მოვალეობანი

2.1 მეუღლეთა თანასაკუთრებითი ურთიერთობები

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს არამარტო პირად, არამედ ქონებრივ ურთიერთობებსაც. განსხავებით პირადი ურთიერთობებისგან, ქონებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხი დეტალურად არის მოწესრიგებული საოჯახო სამართლის ნორმებით.[36]

ქონებრივი ურთერთობები შედგება როგორც სანივთო, ასევე ვალდებულებითი ხასიათის უფლება- მოვალეობებისგან.[37]

ოჯახი, როგორც საოჯახო სამართლის სუბიექტი, ვერ იარსებებს თუ მას არ ექნება შესაბამისი მატერიალური ბაზა არსებობისთვის. სწორედ ამ მატერიალური ბაზის სამართლებრივად სწორად წარმართვას ემსახურება მეუღლეთა ქონებრივი უფლება მოვალეობანი. ქონებრივია ყველა ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრულ ქონებასთან, მის მფლობელობასთან, სარგებლობასა და განკარგვასთან.[38] თუმცა აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ქონების ცნებაში მოიაზრება არა მხოლოდ ნივთები, არამედ მოთხოვნებიც, ე.ი როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითი ხასიათის ელემენტები. უფრო მეტიც, ქონებრივი ხასიათისაა არა მხოლოდ აქტივი, არამედ პასივიც-ერთი მხრივ, მოთხოვნის

[34] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ. 152

[35] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ. 153

[36] მეუღლეთა ურთიერთობების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, N3'12, ეკატერინე ნინუა, გვერდი 46

[37] მეუღლეთა ურთიერთობების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, N3'12, ეკატერინე ნინუა, გვერდი 46

[38] ქართული სანივთო სამართალი, ბესარიონ ზოიძე, თბილისი, 2003 წელი, გვერდი 26

უფლება და მეორე მხრივ, შესრულების ვალდებულება. ამიტომ მეუღლეთა ქონების შედარებით ფართო გაგება უფრო შეესაბამება კანონმდებლობის შინაარსსა და პრაქტიკის მოთხოვნებს[39] , ვიდრე მისი ვიწრო გაგება და მეუღლეთა თანასაკუთრებაში ქონებრივი უფლებების და არა ვალდებულებების ჩართვა.[40]

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები პირველ რიგში დაკავშირებულია მეუღლეთა საკუთრებასთან, სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მეუღლეთა საკუთრების თემის დეტალური გაშლა.

მეუღლეთა საკუთრებაზე მსჯელობისას, პირველ რიგში, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ერთი მხრივ, მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება და მეორე მხრივ, მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება, მეუღლეთა საკუთრების ამ ორი ნიშნით დაკვალიფიცირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკისთვის, რადგან მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა თითოეული ტიპის საკუთრების განსხვავებულად ხდება, რადგან ორივეს აქვს დამოუკიდებელი სამართლებრივი რეჟიმი.

საკუთრება არის ყველა დემოკრატიული , სუვერენიტეტული სახელმწიფოს სამართლით გარანტირებული ბუნებითი, ფუნდამენტური უფლება. [41]„საკუთრების უფლება უზრუნველყოფს ადამიანის განვითარებას, თავისუფლებას, რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას, იმავდროულად კერძო საკუთრება, როგორც ინსტიტუტი, საბაზრო ეკონიმიკის ბირთვს წარმოადგენს. იგი არის დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა.“[42]

საქართველოს კონსტიტუციის 19-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში “საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“.[43]

---

[39] საოჯახო სამართალი, შალვა ჩიკვაშვილი, თბილისი, 2004 წ, გვერდი 123

[40] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვერდი 154

[41] მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, მართლმსაჯულება და კანონი N2’12, თეა კალანდაძე გვერდი 102

[42] მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, მართლმსაჯულება და კანონი N2’12, თეა კალანდაძე, გვერდი 102

[43] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 19

საკუთრების უფლების ამგვარი ზოგადი მიმოხილვა აუცილებელია იმ პრობლემების უკეთ გააზრებისთვის, რაც დღესდღეობით საოჯახო სამართალში იჩენს თავს.

საკუთრებაზე მსჯელობისას დიდი მნიშვნელობა აქვს ნივთი განეკუთვნება უძრავი თუ მოძრავი ნივთების ტიპს. რადგან მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების მოპოვების, განკარგვის განსხვავებული წესები არსებობს.

სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს მხოლოდ უძრავი ნივთების ცნებას. უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.[44] , „ანუ ყოველივე ის, რაც არ შეიძლება გამოეყოს მიწას თავისი სამეირნეო დანიშნულებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშე.“[45]

რადგან უძრავი ქონებები განუყოფელია საკუთარი ადგილმდებარეობებიდან, ხოლო მათი განკარგვა შესაძლებელია სხვა ადგილიდან, აუცილებელია ინფორმაცია მათი სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საჯაროდ იყოს ცნობილი,[46] სწორედ ამისთვის უძრავი ქონებებისთვის არსებობს საჯარო რეესტრი, სადაც უძრავ ქონენენზე არსებული უფლებების და სხვა მასთან დაკავშირებული ინფორცმაციები აღწერილია დეტალურად. საჯარო რეესტრის მეშვეობით დაინტერესებულ პირებს ეძლევათ საშუალება გაიგონ უძრავი ნივთების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია.

უძრავი ნივთების და მთთან დაკავშირებული გარიგებების რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოში წარმოადგენს მათი სამართლებრივი რეჟიმის ძირითად თავისებურებას, რაც განპირობებულია არა მხოლოდ უძრავი ნივთების იურიდიული ბუნებით არამედ მათი სამართლებრივი მნიშვნელობითაც.[47] ამიტომაცაა რომ მიწის ნაკვეთის გარდა, მისი სოციალური დანიშნულებიდან

[44] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლი

[45] მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობლემები, შალვა ჩიკვაშვილი, სამართალი N11-12, 2002 წელი, გვერდი 40

[46] მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობლემები, შალვა ჩიკვაშვილი, სამართალი N11-12, 2002 წელი, გვერდი 40

[47] მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობლემები, შალვა ჩიკვაშვილი, სამართალი N11-12, 2002 წელი, გვერდი 40

გამომდინარე, უძრავი ნივთების სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება საჰაერო და საზღვაო ხომალდებზე, კორპოსურ ობიექტებზე. [48]

უძრავი ქონებას არ მიეკუთვნება, შესაბამისად არ საჭიროებს მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციას ნივთები, რომელთა ფასიც, საკმაოდ მაღალია თუმცა, არ უკავშირდება მიწას.[49]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს მხოლოდ უძრავი ნივთების ცნებას, შესაბამისად მოძრავია ყველა ის ნივთი, რაც სამოქალაქო კოდექსის მიხედვით არ არის უძრავი.[50] მოძრავ ნივთებზე არ არის საჭირო უფლების რეგისტრაცია. შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლისის სახით კანონმდებლობით გახდეს სავალდებულო ზოგიერი სახის მოძრავი ნივთების უფლებების რეგისტრაცია, ესეთი შეიძლება იყოს ნივთები რომელთა მიმოქცევა შეზღუდულია სამოქალაქო ბრუნვაში.[51]

მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შესაძენად აუცილებელია რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს ნივთი შემძენს [52]. მაშასადამე, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუციელებელია როგორც ნამდვილი უფლება, ისე ნივთის გადაცემა.

ნამდვილ უფლებაში უნდა იგულისხმებოდეს საკუთრების უფლება, რადგან სწორედ საკუთრების უფლებაა ყველაზე ფართო და ყველაზე ზოგადი, და ვინაიდან არავის შეუძლია გადასცეს სხვას იმაზე მეტი უფლება, ვიდრე სხვას აქვს, შეუძლებელია მესაკუთრე გახდეს პირი, რომელსაც რაიიმე სხვა უფლების მქონე პირი გადასცემს ნივთს. ე.ი, მხოლოდ იმ პირს შეუძლია სხვა პირს გადასცეს საკუთრების უფლება, ვისაც თვითონ გააჩნია აღნიშნული.

როგორც მოძრავ, ასევე უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიღებისას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კეთილსინდისიერი შემძენს ინსტიტუტს. ეს ის

---

[48] მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობლემები, შალვა ჩიკვაშვილი, სამართალი N11-12, 2002 წელი, გვერდი 40

[49] მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობლემები, შალვა ჩიკვაშვილი, სამართალი N11-12, 2002 წელი, გვერდი 40

[50] მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობლემები, შალვა ჩიკვაშვილი, სამართალი N11-12, 2002 წელი, გვერდი 40

[51] მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსეული ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობლემები, შალვა ჩიკვაშვილი, სამართალი N11-12, 2002 წელი, გვერდი 40ლ

[52] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლი

შემთხვევაა როდესაც არაუფლებამოსილი პირი ასხვისებს უფლებას , თუმცა შემძენი ამ ფაქტის მიმართ არის კეთილსინდისიერი, მან არ იცის რომ გამსხვისებელი არის არაუფლებემოსილი პირი და არც შეიძლება იცოდეს ეს. კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი მოძრავ ნივთებთან მიმართებით დაკავშირებულია მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციასთან: „ივარაუდება რომ მფლობელი არის მისი მესაკუთრე“[53] მოძრავი ნივთების შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის ამ უნიკალური დანაწესის გავრცელებისთვის საკმარისია მხოლოდ მოძრავი ნივთის მფლობელობა, მფლობელობითი ნების გამოხატვა[54]. სამართლებრივი საფუძველი ასეთ დროს თითქოს მნიშვნელობას კარგავს, რადგან მნიშნველოვანია მხოლოდ მოძრავი ნივთის ფაქტობრივი ფლობა, ეს განსაკთრებით მნიშვნელოვანია მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვისას, რაზეც უფრო დეტალურად ქვემოთ ვიმსჯელებთ.

რაც შეეხება საკუთრების შეძენას უძრავ ნივთებზე, მას მისი სამართლებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, დეტალურად აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი, „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში“.[55] აქ პირველ რიგში, თვალნათელია, რომ აუცილებლად უნდა არსებობდეს საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი.

თუმცა, მუხლში არ არის მოცემული საკუთრების წარმოშობის ყველა სამართლებრივი საფუძველი, რადგანაც მუხლის მიხედვით, ასეთად ჩათვლილია მხოლოდ ფორმასავალდებულობა გარიგება, რომელიც სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შეიძლება იყოს მხოლოდ ნასყიდობა, გაცვლა ჩუქება, და ა.შ.[56] რაც თავის თავში არ მოიაზრებს მეუღლეთა თანასაკუთრებას, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს საკუთრების წარმოშობის კანონისმიერ საფუძველს. შესაბამისად, უძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობისთვის უნდა არსებობდეს ან სახელშეკრულებო, ან კანონისმიერი საფუძველი. თუმცა არ აქვს მნიშვნელობა საკუთრების უფლება წარმოიშვება კანონით, თუ სახელშეკრულებო გზით, უძრავ

[53] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლი

[54] მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება (ცნებებისა და საკუთრების უფლების წარმოშობის ჭრილში) სამართლის ჟურნალი, N1, 2011 წელი, ქეთევან ქოჩაშვილი, გვერდი 107

[55] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი

[56] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, სანივთო(ქონებრივი სამართალი), 183-ე მუხლის კომენტარი,ზ. ახვლედიანი, რედ. ლადო ჭანტურია,

ნივთზე საკუთრების წარმოშობისთვის აუცილებელია ამ უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში;[57] უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების დამატებით საჯარო რეესტში რეგისტრაციის აუცილებლობა აიხსნება უძრავი ნივთების განსაკუთრებული სამართლებრივი მნიშნველობით და იმ არგუმენტით, რომ უძრავი ნივთების შემთხვევაში, მხოლოდ ნამდვილი უფლების საფუძველზე საკუთრების გადაცემა და შემდგომ ნივთის მფლობელობა არ არის საკმარისი საკუთრების წარმოსაშობად.

2.1.1 მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება

ინდივიდუალური საკუთრება ეკუთვნის ერთ რომელიმე მეუღლეს და მისი განკარგვაც მხოლოდ მესაკუთრეს შეუძლია.[58]

ინდვიდუალური საკუთრების წარმოშობის სხვადასხვა საფუძვლები არსებობს. იგი მეუღლეს შესაძლოა ჰქონდეს ქორწინებამდეც და ქორწინების შემდგომაც. მეუღლეთა ქორწინებამდელი ქონება, რჩება მეუღლეების ინდივიდუალურ საკუთრებაში და იგი არ გარდაიქმნება საერთო საკუთრებად, ასევე ინდივიდუალურია საკუთრება, რაც შეძენილია ქორწინების პერიოდში რომელიმე მეუღლის მიერ ჩუქების გზით, ან მემკვიდრეობი გზით. პირადი მოხმარებისთვის შეძენილი ნივთები ასევე წარმოადგენს იმ კონკრეტული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას, რომელიც მას მოიხმარს და ა.შ.[59] ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლის თანახმად, თითოეული მეუღლის ინდივიდუალური საკუთრება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება რომ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადდიდდა, თუ საქორწინო შეთანხმებით სხვა რამ არ არის განმარტებული. ამ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამრთლოს განმარტება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: თუ ქონების ღირებულება რომელიც წარმოადგენდა ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას, ქორწინების პერიოდში მიმდინარე რემონტის, ან დაბანდების საფუძველზე გაიზარდა, თუმცა არა მნიშვნელოვნად, ეს არ შეიძლება გახდეს ქონების თანასაკუთრებად

[57]სანივთო სამართალი, თამარ შოთაძე, "მერიდიანი", თბილისი, 2014 წელი, გვ.162-163

[58] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ. 154

[59] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ. 154

გადაქცევის საფუძველი, გადაგეგმარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება,თანხის დაბანდება მხოლოდ იმ შემთხვევაშია სამართლებრივად მნიშნველოვანი, თუ ქონების ღირებულება გაიზრდება მნიშვნელოვნად.[60]

რაც შეეხება ნივთს, რომელიც ერთ-ერთი მეუღლის მიერ შეძენილია ჩუქების გზით, იმ შემთხვევაში თუ ასეთი ქონების თანასაკუთრებად აღიარებასთან დაკავშირებით წარმოიშვება სასამართლო დავა, სასამართლო ხელმძღვანელობს აღიარებული პრაქტიკით და ერთგვარი პრეზუმფციით, რომ თუ რაიმე კონკრეტული ქონება ერთ-ერთ მეუღლეზე გადაცემულია ოჯახის საერთო სარგებლობისთვის, ასეთი ქონება უნდა ჩაითვალოს ოჯახისთვის ნაჩუქარ ქონებად და მასზე უნდა გავრცელდეს მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი, ხოლო თუ ნაჩუქარი ქონება განკუთვნილია მხოლოდ საჩუქრის მიმღები მეუღლის პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის,ასეთი ქონება სასამართლო პრაქტიკით ითვლება ინდივიდუალურ საკუთრებად.[61]

მიუხედავად იმისა რომ მეუღლეთა საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი ერთი შეხედვით მარტივად არის გადაწყვეტილი საქართველოს კანონმდებლობის მიერ, და მარტივი განსასაზღვრავია საკუთრება განეკუთვნება ინდივიდუალურ საკუთრებათა თუ საერთო საკუთრებათა რიგს, სასამართლო პრაქტიკაში არსებობს სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობების გამოხატულება, საქორწინო შეთანხმება, რითაც შესაძლოა კანონმდებლობისგან განსხვავებული წესით მოწესრიგდეს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მეუღლეთა ნების პრიმატს და ვინაიდან ხელშეკრლება თავისი არსით არის მხარეთა ნების გამოვლენის შედეგი, მიმართული სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობისკენ, მეუღლეებს შეუძლიათ თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები, განსაზღვრონ მათი შინაარსი და ასევე ამ ხელშეკრულებით სხვა პირობებთან ერთად განსაზღვრონ მათი საკუთრების ბედიც.

ხელშეკრულების დადება შესაძლებელია ქორწინებამდეც და ქორწინების შემდგომაც, კანონმდებლობის მოთხოვნაა წერილობითი ფორმის დაცვა და ასევე სანოტარო წესით დამოწმება. კანონის ამგვარი მკაცრი, იმპერატიული მოთხოვნა

[60] იხ: საქმე 33-489-06. 08.09.2006 წ.

[61] თეა კალანდაძე, მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, გვერდი 102

გამართლებულია საქორწინო შეთანხმებით გადაწყვეტილ საკითხთა მნიშვნელობით და სერიოზულობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეუღლეებს შეუძლიათ საქორწინო შეთანხმებით დაარეგულირონ[62] თანასაკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები: ინდივიდუალური ქონების თანასაკუთრებად გადაქცევის საკითხი და პირიქით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებოს მოვალეობები, რომელიც საქორწინო შეთანხმებით არ შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად: მეუღლეთა ურთიერთჩენის მოვალეობა, მშობლის უფლება-მოვალეობები შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობები და დავის შემთხვევაში-სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. ასევე დაუშვებელია ერთ-ერთი მეუღლისთვის კაბალური ხელშეკრულების დადება, რომელიც მძიმე მდგომარეობაში აყენებს მას.

2.1.2 მეუღლეთა თანასაკუთრება

მეუთლეთა ქონებრივ ურთიერთობებში არსებული პრობლემების გადასაჭრელად პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, თუ რა მოიაზრება მეუღლეთა თანასაკუთრებაში. ამასთანავე, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სანივთო სამართალთანაც, კერძოდ: საერთო საკუთრების ინსტიტუტთან, რაც განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლით. სამოქალაქო კოდექის ამ მუხლის სამართლებრივი გააზრების შედეგად შეგვიძლია საერთო საკუთრების ცნება განვსაზღვროთ შემდეგნაირად: საერთო საკუთრება წარმოადგენს საკუთრების ისეთ ფორმას, როცა ნივთი ეკუთვის არა ერთ, არამედ რამდენიმე პიროვნებას. 173-ე მუხლით დაცული საერთო საკუთრების სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, განსხვავებით სანივთო სამართალში მოწესრიგებული საერთო საკუთრებისგან, მეუღლეთა თანასაკუთრების ცნების განმსაზღვრელი მუხლის სუბიექტები შეიძლება იყვნენ მხოლოდ მეუღლეები. შესაბამისად, მეუღლეთა თანასაკუთრების დროს გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი, რაც 173-ე მუხლთან შედარებით წარმოადგენს სპეციალურ ნორმას.

[62] თეა კალანდაძე, მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, გვერდი 102

1158-ე მუხლის მიხედვით : „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას) თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“[63]

ქონების ცნება განმარტებულია სამოქალაქო კოდექსის 147 -ე მუხლით: „ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა ად განკარგვა შეუძლით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენა შეიძლება შეუზღუდავად, თუ ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.“ [64]

„მეუღლეთა თანასაკუთრების სუბიექტური შემადგენლობა შეზღუდულია, რაც იმითაა გამოწვეული რომ მასში არ შეიძლება მონაწილეობდეს ორზე მეტი თანამესაკუთრე. იმ შემთხვევაში თუ მეუღლეები მესამე პირთან ერთად იძენენ რაიმე ქონებას, ყველა ერთად გამოდის საერთო თანაზიარი საკუთრების მონაწილეები, მათი წილი საერთო თანაზიარი საკუთრებიდან შევა მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში. გამომდინარე იქიდან რომ მეუღლეთა თანასაკუთრების მონაწილეა მხოლოდ ორი პირი, თითოეული მათგანისთვის საერთო ქონებიდან წილის გამოყოფა გამოიწვევს მეუღლეთა საერთო საკუთრების გაუქმებას. ეს კი ნიშნავს რომ მეუღლეთა შორის ნებისმიერი წილის გაყოფა ერთდროულად იწვევს მათი საერთო საკუთრების გაყოფასაც.“[65]

მეუღლეთა საერთო ქონების ობიექტური შემადგენლობა საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით პირდაპირ არის განსაზღვრული.

მეუღლეთა თანასაკუთრებას, ე.ი მეუღლეთა ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებას მიეკუთვნება: ა) მეუღლეების შემოსავალი, რაც მიღებულია გარკვეული შრომითი საქმიანობის შედეგად , მათში შედის ასევე გარკვეული სახელფასო დანამატები, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებები, პრემიები და შრომით ანაზღაურებასთან დაკავშირებული სხვა ფულადი რესურსები, ბ) შემოსავლები,რაც მიღებულია სამეწარმეო საქმიანობიდან, მასში შედის ბიზნესიდან შემოსული მოგება, კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი და სხვ., გ) შემოსავალი რაც მიღებულია ინტელექტუალური

[63] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1158
[64] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 147
[65] ეკატერინე ნინუა, მეუღლეთა ურთიერთობების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, 2012 წ, გვ. 49

საქმიანოობიდან, მასში შედის მიღებული ჰონორარი და სხვა ანაზღაურებები რაც დაკავშირებულია ინტელექტუალურ საქმიანობასთან, დ) პენსიები, სახელმწიფოს მიერ გაღებული სხვა დახმარებები, რასაც არ აქვთ სპეციალურ დახარჯვის მიზნობრიობა, ე) და მეუღლეთა ქორწინების პერიოდში შეძენილი ნებისმიერი უძრავი ქონება, მიუხედავად იმისა თუ ვინ გაიღო ნივთის შესაძენად ხარჯები, ვინ სახელზეა ის, ვინ მეტად დაიხარჯა, ეს ქონებები წარმოადგენენ მეუღლეთა თანასაკუთრებას მათი ფაქტობრივად მიღების მომენტიდან.[66]

იურისტებს შორის გარკვეულ დავას იწყებს საკითხი თუ რა დროიდან უნდა ჩაითვალოს ხელფასი და ფულადი სახსრები მეუღლეთა თანასაკუთრებას. ერთი მოსაზრების თანახმად, ასეთი ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად ითვლება მათი მიღების მომენტიდან, ხოლო მეორე მოსაზრების თანახმად, მხოლოდ მას შემდეგ რაც მისი მიმღები მეუღლე აღნიშნულ რესურსებს განათავსებს საერთო საოჯახო ბიუჯეტში.[67] ეს უკანასკნელი მოსაზრება არ შეესაბამება საოჯახო სამართლის ნორმებს, რადგან მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს მეუღლეთა ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება, შესაბამიდად, ხელფასი და სხვა ფულადი სახსრები უნდა ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად მისი მიღების მომენტიდან, რადგან თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი არის მხოლოდ და მხოლოდ ქორწინება და არა მეუღლეთა შეთანხმება რა უნდა შეიტანონ საერთო ბიუჯეტში და რა არა.[68]

თანაზიარი საკუთრება,ინდივიდუალური საკუთრებისგან განსხვავებით, ერთობლივად ეკუთვნით მეუღლეებს, მათ თანაბარი უფლებები აქვთ აღნიშნულ ქონებაზე. ასეთ ქონებას უპირველეს ყოვლისა მიეკუთვნება მეუღლეთა მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება, მეუღლეთა ერთობლივი მოხმარების საგნები, ხელფასი, ფულადი შემოსავლები, მათი მიღების წყაროს მიუხედავად. [69]

ამასთან, მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი შეიძლება გავრცელდეს ინვიდივიდუალურ საკუთრებაზეც, თუ ქორწინების პერიოდში მას ჩაუტარდა

---

[66] ეკატერინე ნინუა, მეუღლეთა ურთიერთობების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, 2012 წ, გვ. 50

[67] ეკატერინე ნინუა, მეუღლეთა ურთიერთობების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, 2012 წ, გვ. 50

[68] ეკატერინე ნინუა, მეუღლეთა ურთიერთობების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, 2012 წ, გვ. 50

[69] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ. 154

იმგვარი რესტავრაცია, რემონტო , დაბანდება, რომ გადიდდა მისი ღირებულება.[70] ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობისათვის, აუცილებელია რომ ეს დამანდება, რემონტი, რესტავრაცია და ა.შ., რამაც ქონების ღირებულების ზრდა გამოიწვია, მოხდეს ქორწინების პერიოდში, ხოლო ის ფაქტი თუ რომელმა მეუღლემ გასწია ეს ხარჯი, რომელმა მეუღლემ შეიტანა წვლილი ქონების ღირებულების ზრდაში, ირელევანტურია.[71]

თანასაკუთების რეჟიმი არც პირადი მოხმარების საგნებზე არ ვრცელდება, იგულისმება მხოლოდ მოძრავი ნივთები, არც იმას აქვს მნიშნველობა ეს მოძრავი ნივთები საერთო თანხებით არის ნაყიდი, თუ მხოლოდ ერთ მეუღლის მიერ.

თანაზიარ საკუთრებაში არ არის განსაზღვრული მეუღლეთა წილი, იგი გამოიყენება საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. ერთი შეხედვით, უმნიშნველოა ისიც არის თუ არა ქონება რომელიმე კონკრეტული მეუღლის სახელზე გაფორმებული. დაუშვებელია რომელიმე მეუღლის, როგორც მესაკუთრის უფლება შეიზღუდოს კანონის ან შეთანხმების საფუძველზე. თანაზიარი საკუთრების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის დროს მეუღლეები ერთმანეთის თანასწორნი არიან.

2.1.3 საჯარო რეესტრის მნიშნველობა თანასაკუთრების დროს

საჯარო რეესტრის როლი სამოქალაქო და არამხოლოდ სამოქალაქო სამართალში განსაკთრებით დიდია. თემა აქტუალურია საოჯახო სამართალში, კერძოდ მეუღლეთა თანასაკთრების ჭრილში. მიუხედავად ამ ინსტიტუტის უდიდესი მნიშვნელობისა, ის პრაქტიკაში გარკვეულ პრობლემებსაც ქმნის. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საჯარო რეესტრში მხოლოდ ერთი მეუღლეა დარეგისტრირებული მესაკუთრედ, რეალურად კი ქონება წარმოადგენს თანაზიარ საკუთრებას, მეორე მეუღლე ამ დროს დიდი შანსია დარჩეს საკუთრების უფლების გარეშე. პრობლემას აქტუალურობას მატებს ისიც რომ სამოქალაქო სამართალში მოქმედებს ერთი ძალზედ მნიშნველოვანი პრეზუმფცია: საჯარო რეესტრის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია. განსაკუთრებით აქტუალურია პასუხი კითხვაზე, როგორ უნდა გადაწყდეს სამართლებრივი დავა, მესაკუთრე მხოლოდ იმ შემთხვევაშია მესაკუთრე თუ ის

[70] მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, „ახალგაზრდა ადვოკატები“, სამეცნიერო ჟურნალი, ქ. თბილისი, იანვარი N8, 2018 წელი, გვერდი 78

[71] მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, „ახალგაზრდა ადვოკატები“, სამეცნიერო ჟურნალი, ქ. თბილისი, იანვარი N8, 2018 წელი, გვერდი 78

რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, თუ საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდეც არსებობს და რეგისტრაცია მხოლოდ საკუთრების უფლების დადასტურებას წარმოადგენს?

როგორც აღვნიშნეთ, აღნიშნულ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება თანაზიარი საკუთრების მესაკუთრის უფლება და მეორე მხრივ საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული მონაცემების უტყუარობის პრეზუმფცია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ პრეზუმფცია მხოლოდ იქამდე მიიჩნევა დამტკიცებულად, სანამ არ მოხდება მისი უარყოფა. პრეზუმფციისგან განსხვავებით მხოლოდ ფიქცია არ ექვემდებარება უარყოფას.[72]სწორედ ასევე ხდება საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმფციის შემთხვევაშიც, საჯარო რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება რომ იგი არ არის სწორი.[73]

ზოგადი მოსაზრების თანახმად, საკუთრების უფლება წარმოიშვება ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.[74] საკუთრება, აბსოლუტური, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებითი უფლება, მას უფლებებთან ერთად ვალდებულებებიც ახლავს თან. ცნობილი და უამრავი სახელმწიფოს სამართლებრივ პრაქტიკაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად: „საკუთრება ავალდებულებს“. საკუთრება პირველ რიგში ავალდებულებს რადგან არავის აქვს უფლება ბოროტად გამოიყენოს თავისი საკუთრება (შიკანის აკრძალვა) და მეორე მხრივ, საკუთრება ავალდებულეს რადგან მას გააჩნია სოციალური ხასიათი. სწორედ მისი სოციალური ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებელია უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების საჯაროდ გაცხადება, ამიტომ მართებული იქნება თუ საკუთრების უფლება სრულყოფილი სახით წარმოიშვება მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ, ხოლო რეგისტრაციამდე კი თანაზიარი საკუთრების უფლების მქონეს მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება გააჩნია. ე.ი გააჩნია საჯარო რეესტრში მესაკუთრედ დარეგისტრირების სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მეუღლეთა თანასაკუთრების სრულყოფილად წარმოშობისთვის აუცილებელია მეუღლეები თანაზიარ მესაკუთრეებად დარეგისტრირდენ საჯარო რეესტრში, სხვა შემთხვევაში კი

[72] სამართლის თეორია, გ.ხუბუა, „მერიდიანი“, თბილისი, 2004 წელი, 196,187 გვ

[73] საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, მუხლი 5, 2017 წელი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი, 1997.

[74] სანივთო სამართალი, თ.შოთაძე, „მერიდიანი: თბილისი, 2014 წელი, გვერდი 158

მხოლოდ 1158-ე მუხლის მიხედვით, ისინი ვერ გახდებიან საკუთრების უფლების სრულყოფილი მატარებლები[75]

„ამასთან მნიშნველოვანია ისიც, რომ საჯარო რეესტრი უადვილებს პირს სრული ინფორმაცია მიიღოს თავისი პარტნიორის უფლებათა ნამდვილი მდგომარეობის შესახებ“.[76] შესაბამისად საჯარო რეესტრი თავის მხრივ ვალდებულია მოაწესრიგოს სამოქალაქო ბრუნვა, რითაც შესაძლებელი გახადოს საჯაროობის პრინციპის პრაქტიკაში გამოვლინება.[77]

კიდევ ერთი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელობანი ფუნქცია, რაც საჯარო რეესტრს გააჩნია ეს არის მისი დაცვითი ფუნქცია სამართლებრივი ბრუნვის მონაწილეების მიმართ.[78] ასევე საჯარო რეესტრი თავისი ფუნქციიდან გამომდინარე ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.[79] თუმცა საჯარო რეესტრი სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაწილეს ვერ დაიცავს, რადგან ერთი მხარის დაცვა ხდება მეორე მხარის უფლებათა უკანა ფლანგზე გადაწევის ხარჯზე, ასე მაგალითად: თუ საჯარო რეესტრი იცავს თანაზიარი საკუთრების მყიდველის უფლებებს, მისი კეთილსინდისიერებიდან და საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუარობისა და სისწორის პრეზუმფციიდან გამომდინარე, მეორე მხრივ, ვერ ხდება იმ თანაზიარი მესაკუთრის უფლებების დაცვა, რომელიც არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. სწორედ ამიტომ, მიუხედავად საოჯარო ურთიერთბების სპეციფიკური, განსაკუთრებულად პირადი და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობებისა, აუცილებელია წინდახედულობის გამოჩენა და ორივე თანამესაკუთრის დარეგისტრირება საჯარო რეესტრში, რათა საჭიორების შემთხვევაში დაცული იყოს თანამესაკუთრის უფლებები.

---

[75] ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, ბ.ზოიძე „მეცნიერება,თბილისი, 2003 წელი, გვერდი 365

[76] მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება“, „ახალგაზრდა ადვოკატები“, სამეცნიერო ჟურნალი, ქ. თბილისი, იანვარი N8, 2018 წელი, გიორგი ქანთარია, ვერიკო ჯგერენაია, გვერდი 85

[77] მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება“, „ახალგაზრდა ადვოკატები“, სამეცნიერო ჟურნალი, ქ. თბილისი, იანვარი N8, 2018 წელი, გიორგი ქანთარია, ვერიკო ჯგერენაია, გვერდი 85

[78] უძრავ ნივთებზე ქონებრივი უფლების რეგისტრაციის პრინციპები ქართული და გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, ე.ლაფაჩი, სამართლის ჟურნალი, N1, 2013 წელი, გვერდი 62.

[79] მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება“, „ახალგაზრდა ადვოკატები“, სამეცნიერო ჟურნალი, ქ. თბილისი, იანვარი N8, 2018 წელი, გიორგი ქანთარია, ვერიკო ჯგერენაია, გვერდი 85

2.1.4 კეთილსინდისეირი შემძენი თანასაკუთრების დროს

საჯარო რეესტრი, როგორც უკვე აღვნიშნეთ პირველ რიგში იცავს კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს. სამოქალაქო სამართალში გაბატონებულია ნდობის და კეთილსინდისიერების პრინციპი.[80] კეთილსინდისიერი შემძენი არ არის ვალდებული და სურვილის შემთხვევაში ვერც მოახერხებს, გაარკვიოს თუ რამდენად სწორია რეესტში დარეგისტრირებული მონაცემები. „საკუთრივ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტიის არსებობა იცავს შემდგომში ბრუნვის იმ მონაწილეს, რომელიც კეთილსინდისიერად ენდობა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობას."[81] „ მხოლოდ შეძენის არამართლზომიერების ცოდნა და არა ვარაუდი შეერაცხება შემძენს არაკეთილსინდისიერებაში."[82]

სამოქალაქო სამართლის კეთილსინდისიერი შემძენის ეს ინსტიტუტი უცვლელად მუშაობს საოჯახო სამართალშიც. თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა უკვე აქტიურად იცნობს ისეთ შემთხვევებს როცა ერთმანეთს დაუპირისპირდა თანამესაკუთრის და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესები, თუმცა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებმა გადაწონა თანამესაკუთრის ინტერესები.[83]

სასამართლო პრაქტიკასთან ერთად, კეთილსინდისერი შემძენი სასამართლო პროცესზე თავისუფლდება მტკიცების ტვირთისგან, რაც დაზარალებული მეუღლესთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს მას. დაზარალებულმა მეუღლემ თავად უნდა ამტკიცოს თუ რას ემყარება მისი მოთხოვნა და უფრო მეტიც, მან თავისი მოთხოვნები სასამართლო პროცესზე მტკიცებულებებით უნდა გაამყაროს.[84] უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში კი პირდაპირ არის ნათქვამი რომ თუ მოსარჩელეს

---

[80] ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, ბ.ზოიძე, „მეცნიერება", თბილისი, 2003 წელი, გვ. 336

[81] სანივთო სამართალი, ზ. ჭეჭლაშვილი, „ბონა კაუზა", თბილისი, 2014 წელი, გვ.196

[82] საკუთრების უფლების რევოლუცია ქართულ სამართალში, ბ.ზოიძე, 2015 წლის 5-6 ნოემბრის სამეცნიერო კონფერენციის მასალებში: „საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა. სტაბილურობის ტრანსფორმაცია", თბილისი, 2016 წელი, გვ. 246

[83] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 იანვის გადაწყვეტილება, საქმე Nას -189-182-2013

[84] მტკიცების ტვირთი სამოქალაქო პროცესში და მისი სუბიექტები-მოსარჩელე,მოპასუხე, მესამე პირები, ჟურნალი, ქ. კვინიკაძემ გ. ჩხაიძე, „მართლმსაჯულება და კანონი" N1 (44), 2015 წელი, გვერდი 115-116

დაზარალებულ მეუღლეს აქვს გარკვეული ეჭვი შემძენის არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, ეს მან თავად უნდა დაამტკიცოს.[85]

2.1.5 თანასაკუთრების განკარგვა

საოჯახო სამართალში ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღები პრობლემა მდგომარეობს მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვაში, რომელსაც აქვს არამხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული დატვირთვა.

საოჯახო სამართლის მიხედვით მეუღლეები ითვლებიან ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების თანამესაკუთრეებად. ხომ არ ეწინააღმდეგება ეს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობისთვის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის პრინციპს? თანასაკუთრების წარმოშობისთვის არსებითი მნიშნველობა არ აქვს ორივე მეუღლე არის თუ არა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, ისინი მაინც წარმოადგენენ თანამესაკუთრეებს. უფრო მეტიც, თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს, ან სხვა საპატიო მიზეზის (ავადმყოფობა, სწავლა და სხვა) გამო, არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი.[86]

ოჯახის ერთიანობის პრინციპიდან გამომდიანრეობს ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთი მეუღლის მოქმედება რომელიც მიმართულია თანაზიარი საკუთრების განკარგვისკენ, გულისხმობს მეორე მეუღლის ნების გამოვლენასაც. მართალია ზოგ შემთხვევაში საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობაც,(როცა საქმე ეხება სანოტარო წესით დასამოწმებელ გარიგებებს), თუმცა ზოგადი წესის თანახმად, ერთი მეუღლის ნების გამოვლენა სრულებით საკმარისია თანაზიარი საკუთრების განსაკარგავად.[87]

კანონის მიერ ორივე მეუღლის თანხმობა თანასაკუთრების განკარგვის დროს, პრაქტიკაში საკმაოდ გაართულებდა აღნიშნული უფლების განხორციელებას, და აღნიშნული ხშირად შეუძლებელიც გახდებოდა, მაგალითად თუ ერთი მეუღლე ცხოვრობს სხვა ქვეყანაში, ან ხანგრძლივი მივლიებით არ იმყოფება, ან უცხოეთშია განათლების მისაღებად და ა.შ. ყოველივე ამის გათვალისწინებით

---

[85] საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 იანვრის განჩინება, საქმე Nას-1131-1064-2015

[86] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ. 155

[87] მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობლემები, სამართალი, 2002, N11-12, შალვა ჩიკვაშვილი, გვერდი 42

სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა მეუღლის თანხმობის პრეზუმფცია, რაც გულისხმობს რომ, როდესაც ერთი მეუღლე იღებს გადაწყვეტილებას თანასაკუთრების განკარგვის, იგულისხმება რომ მას მეორე მეუღლის სიტყვიერი თანხმობა მიღებული აქვს.[88] კანონმდებლობა მეორე მეუღლის სიტყვიერი თანხმობით კმაყოფილდება მეუღლეთა განსაკუთრებული კავშირის, ოჯახის ერთიანობის, მეუღლეთა საერთო ნების არსებობისდა გამო. თანხმობის პრეზუმფცია, როგორც ყველა სხვა მსგავსი დაშვება, ასახავს ყველაზე გავრცელებულ, ხშირ შემთხვევას. [89]

შესაბამისად, მესამე პირები, რომლებიც დებენ გარიგებას ერთ-ერთ მეუღლესთან არ არიან ვალდებულები მოიძიონ ყავს თუ არა შესაძენ ქონებას თაანამესაკუთრე, და არ არიან ვალდებულნი მოითხოვონ თანამესაკუთრისგან თანხმობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი.

სწორედ იმისთვის რომ თანამედროვე რეალობაში, პრაქტიკაში თავიდან იქნეს არიდებული მთელი რიგი გაუგებრობები რაც თანაზიარი საკუთრების ერთი მეუღლის მიერ განკარგვას ახლავს თან ვფიქრობ თანასაკუთრების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაშია რეალიზებული და ნაყოფიერი, თუ ის საჯარო რეესტრში არის დარეგისტრირებული ე.ი., „თანასაკუთრება არის საკუთრების წარმოშობის ერთ ერთი საფუძველი, კანონმდებლის მიერ მინიჭბული უფლება და არა ავტომატური დანაწესი თანამესაკუთრედ ცნობის.“[90]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1159-ე მუხლის თანახმად, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები და მათ თანაბრად , ურთიერთშეთანხმებით შეუძლიათ ამ ქონების ფლობა, განკარგვა და სარგებლობა. [91]

თუმცა სამწუხაროდ პრაქტიკაში არის შემთხვევები როცა ერთი მეუღლე, მეორე მეუღლის ნებართბის გარეშე განკარგავს თანასაკუთრებას, რადგან საჯარო რეესტრში მხოლოდ ის არის რეგისტრირებული მესაკუთრედ.

---

[88] მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობლემები, სამართალი, 2002, N11-12, შალვა ჩიკვაშვილი, გვერდი 42

[89] მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობლემები, სამართალი, 2002, N11-12, შალვა ჩიკვაშვილი, გვერდი 42

[90] თეა კალანდაძე, მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, გვერდი 104

[91] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1159

ფაქტია რომ კოდექსისეული გაგებით, სამართალი მესაკუთრეს ანიჭებს საკუთრების უფლების გავრცელების საგანზე სრულ უფლებამოსილებაზე. მესაკთრეს შეუძლია თავისუფლად, შეუზღუდავად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს თავის საკუთრებას. შესაბამისად, დაზარალებული მეუღლის ინტერესებთან ერთად თანასაკუთრების ერთ-ერთი მეუღლის უნებრათვოდ განკარგვის დროს დავის შემთხვევაში ხომ არ იზღუდება ასევე განკმარგავი მეუღლის ინტერესებიც? მართალია მესაკუთრეს თავის საკუთრებაზე აქვს შეუზღუდავი უფლებამოსილება, თუმცა აქედან გამონაკლისს წარმოადგენს თანასაკუთრება. „ როცა საგნის განკარგვამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვის ქონებრივ მდგომარეოაზე“[92]

როგორც ვიცით, სანივთო სამართალი აწესრიგებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებს, სწორედ ამიტომ მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხებიც სანივთო სამართალში უნდა ვეძიოთ.

ერთი მეუღლის მიერ, მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე, თანასაკუთრების განკარგვის დროს გარიგების იურიდიული ბედი განსაზღვრულია შემძენის კეთილსინდისიერების ელემენტით. არაკეთილსინდისიერია ის შემძენი რომლისთვისაც ცნობიილია ან ცნობილი უნდა იყოს,[93] რომ ქონება რომელსაც ის ყიდულობს არის თანასაკუთრება, მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული საჯარო რეესტში დარეგისტრირებული არ იყო, ან საჯარო რეესტრის ამონაწერი , რომელიც მოქმედია გარიგების დადების მომენტში უნდა იყოს სადავო.[94]

დაზარალებული მეუღლე, რომელსაც თანასაკუთრების განკარგვაზე არ გამოუვლენია საკუთარი ნება ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვარდება, რადგან მისი ქონება მისდაუნებურად მცირდება. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ამ შემთხვევაში დაზარალებული მეუღლის დაცვის მექანიზმს, კერძოდ, 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაზარალებულ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს მისი მეუღლის მიერ მიღებული ის სარგებელი რაც მიღებულია ქონების

[92] მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, გიორგი ქანთარია,ვერიკო ჯგერენაია, „ახალგაზრდა ადვოკატები“, სამეცნიერო ჟურნალი, ქალაქი თბილისი, იანვარი N8, 2018 წელი, გვერდი 88

[93] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, GCCC.GE , 08,02,2016, მუხლი 187, ველი 6, ლ.თოთლაძე

[94] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინება, საქმე Nას - 1004-948 -2015

გასხვისების საშუალებას, აქვე უნდა აღინიშნოს რომ სამოქალაქო კოდექსის ამ მუხლის ძველი რედაქცია სარგებლის მიღების შესაძლებლობასაც კი არ იძლეოდა, რაც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აყენებდა თანასაკუთრების უფლების სრულყოფილად დაუცველობის მსხვერპლს.[95]

ყველაზე დიდი პრობლემა, რასაც 1160-ე მუხლი იწვევს არის მისი აღუსრულებლობა. მიუხედავად იმისა რომ სასამართლოს უმრაველს შემთხვევაში გამოაქვს გადაწვეტილება დაზარალებულ მეუღლეს მიანიშწორს რეგრესიის წესით იმ სარგებილის მოთხოვნის უფლება, რაც თანასაკუთრების განმკარგავმა მიიღო, ხშირ შემთხვევაში, მოპასუხე არის გადახდისუუნარო, და მას არ გააჩნია რეგისტრირებული ქონება, ასეთ დროს ვეღარ ხდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და კიდევ უფრო მძიმდება დაზარალებულის მდომარეობა.

სწორედ ამიტომ, მართალია აღნიშნული არ წარმოადგენს საოჯახო სამართლის მავალდებულებელ დანაწესს, მაგრამ აუცილებელია ყველა თანამესაკუთრემ დაიცვას საკუთარი უფლება ხელყოფისაგან და გამოიყენონ თავიანთი სამართლებრივი საშუალება, დარეგისტრირდნენ რა მესაკუთრედ საჯარო რეესტრში.[96]

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, როცა თანამესაკუთრე ასხვისებს უძრავ ქონებას, რომლის მესაკუთრედაც საჯარო რეესტში რეგისტრირებულია, სასამართლო იცავს კეთილსინდისიერ შემძენს, ხოლო დაზარალებულ თანამესაკუთრეს კი ანიჭებს რეგრესის წესით სარგებლის მიღების უფლებას.[97]

2.1.6 სასამართლო პრაქტიკა თანასაკუთრების განკარგვასთან დაკავშირებით

როგორც ვიცით, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთბები შეიძლება დაექვემდებაროს როგორც სახელშეკრულებო, ასევე კანონისმიერ

[95] რ.შენგელია, სსკ-ის 1160 მუხლის კომენტარი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, რედ. ლ. ჭანტურია, წიგნი მეხუთე, „სამართალი“, თბილისი, 2000 წელი, გვერდი 110

[96] საოჯახო სამართალი, შ. ჩიკვაშვილი, „მერიდიანი“, თბილისი, 2004 წელი, გვერდი 147

[97] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინება, საქმე N3კ/932-02

სამართლებრივ რეჟიმს. რეჟიმის არჩევანი კი საქართველოსკანონმდებლობის მიხედვით მხოლოდ და მხოლოდ მეუღლეთა ნებაზეა დამოკიდებული.[98]

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სახელშეკრულებო რეჟიმი საქორწინო კონტაქტია, სადაც თავიანთ უფლება-მოვალეობათა განსასაზღვრად მეუღლეთა ნებაა უმთავრესი, ხოლო კანონისმიერი რეჟიმი კი მეუღლეთა თანასაკუთრებაა.

მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის საკითხის პრობლემურობიდან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშნვნელობა ენიჭება სასამართლო პრაქტიკას.

საინტერესოა ერთი-ერთი გადაწყვეტილება, სადაც ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით მოსარჩელე და მოპასუხე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში და სწორედ ამ პერიოდში მათ შეიძინეს ბინა რაც ერთ-ერთი მეუღლის სახელზე აღირიცხა. მეუღლემ, რომლის სახელზეც იყო უძრავ ქონება იპოთეკით დატვირთა აღნიშნული ბინა ერთ -ერთ ბანკის სასარგებლოდ.მოსარჩელემ რამდენიმე წელში მოითხოვა იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მითითებით რომ მან, როგორც თანამესაკუთრემ არ იცოდა ამ ხელშეკრულების დადების შესახებ. სააპელაციო საჩივრით არ დაკმაყოფილდა სარჩელი, ხოლო მოსარჩელემ გაასაჩივრა საკასაციო გზით.

უზენაესმა სასამრთლომ აღნიშნა რომ არ არსებობდა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები. საკასაციო სასამართლომ განმარტა: „სკ-ის 185-ე მუხლის მიხედვით, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა ტოცა შემძენმა იცონდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე, სკ-ს 312-ე მუხლით რეესტრის მონაცემების მიხედვით მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია. გარიგების დადების დროს სადავო ბინა აღრიცხული იყო მოსარჩელის მეუღლის სახელზე. კასატორის მიერ წარმოდგენილია სარეგისტრაციო სამსახურის 2005 წლის თებერვლის ცნობა, რომლის მიხედვით უძრავ ქონებაზე მოსარჩელის სახელზე კერძო საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის. აღნიშNული არ ადასტურებს იმ გარემოებას

[98] მექსიკის ქვეყნის კანონმდებლობა, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთბების მხოლოდ სახელშეკრულებო რეჟიმს იცნობს და შესაბამისად, ოჯახის შექმნის დროს საქორწინო ხელშეკრულების დადება სავალდებულო ხასიათს ატარებს.

რომ სადავო იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისას მოპასუხე იპოთეკით დატვირთული ბინის მესაკუთრე არ ყოფილა.გარიგების მონაწილე მხარე არ იყო ვალდებული გარიგების დადებისას მოეთხოვა მოსარჩლის თანხმობა, ვინაიდან, სკ-ის 312-ე მუხლის შესაბამისად, არ არსებობდა რეესტრის ჩანააწერის უტყუარობასა და სისრულეში ეჭვის შეტანის საფუძველი.[99]

სასამართლომ მიიჩნია რომ „ვინაიდან თანამესაკუთრე მეუღლემ არ მოახდინა მისი როგორც უძრავი ნივთის თანამესაკუთრის, აღრიცხვა რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, აღნიშნული არ შეიძლება გახდეს გარიგების კეთილსინდისიერი კონტრაჰენტისთვის ზიანის მიყენების საფუძველი“

უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის დროს საკუთრების მიმღები კომუნიკაციას ამყარებს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მესაკუთრესთან და მისგან იღებს ნების გამოვლენას და მას არ ევალება გამოარკვიოს იმყოფება თუ არა მესაკუთრე ქორწინებაში, ან თუ იმყოფება არის თუ არა თანახმა მისი მეუღლე დადოს ეს კონკრეტული გარიგება. კანონის ასეთი მოთხოვნა გაართულებდა და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელსაც გახდიდა თანასაკუთრების განკარგვას.[100]

ამავე პრინციპის გამოხატულებაა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბრის N2359 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ 43-ე მუხლი.: ნოტარიუსს ეკრძალება საკუთარი მოვალეობის შესრულების დროს იმ პირის გარდა, ვინც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში მესაკუთრედ, მოითხოვოს სხვა პირის თანხმობა.[101] იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია რომ ამგვარი დათქმა არარად აგდებს არა მხოლოდ საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებელი თანამესაკუთრე მეუღლის ინტერესებს, არამედ ხელშეკრულების კონტრაჰენტ მესამე პირებსაც, რადგან მათი დადებული ხელშეკრულება შესაძლოა ნებისმიერ დროს იქნას ბათილი. თუმცა, ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები, ეს წესი კი არ

[99] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების დაქმეებზე N2, 2005, 38-39

[100] მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამათლო გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება, ეკა ზარნაძე, ქართული სამართლის მიმოხილვა, გვერდი 120

[101] [101] მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამათლო გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება, ეკა ზარნაძე, ქართული სამართლის მიმოხილვა, გვერდი 120

არღვევს მესამე პირთა ინტერესებს, არამედ პირიქით, იცავს მათ, განამტკიცებს რა რეესტრის უტყუარობის პრეზუმფციას.[102]

საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებელი მესაკუთირს სარჩელის საფუძველზე რომ გარიგება არ უქმდება ამას ადასტურებს უზენაესი სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებებიც. „უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება სადავო ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელე მეუღლის, როგორც თანამესაკუთრის, თანხმობის აუცილებლობის თაობაძე, სკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, საქმის მასალებით დადგენლია, რომ ხელშეკრულების საგნის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მხოლოდ მოპასუხე...მოსარჩელეს საცხოვრებელ ბინაზე სადავო გამიჯვნის ხელშეკრულების გაფორმებამდე საჯარო რეესტრში მეუღლის მესაკუთრედ აღრიცხაზე და არც შემდომში არ შეუტანია საჩივარი რეესტრის ჩანაწერის შეცვლის შესახებ, რითაც მოსარჩელემ რეესტრში აღრიცვისა და მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით სარგებლობის უფლება დაუთმო მეუღლეს.“[103]

მსგავსი გადაწყვეტილება აქვს სასამართლოს გამოტანილი კიდევ ერთ საქმეზე, შემდეგი მითითებით: „შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში ერთად შეძენილ, სკ-ის 1158-ე მუხლით გათვალისწინებულ, უძრავ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტში ორივე მათანის რეგისტრაციის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში მესამე პირების მიმართ რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად.[104]

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ზემოჩამოთვლილისგან განსხვავებული შემთხვევა. მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებით უზენაესმა სასამართლომ ბათილად ცნო ერთ-ერთი მეუღლის მიერ დადებული ხელშეკრულება და საკუთრების შემძენი კი არაკეთილსინდისიერად. სასამართლომ თავის

[102] მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამათლო გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება, ეკა ზარნაძე, ქართული სამართლის მიმოხილვა, გვერდი 120

[103] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, N2, 2005, 14-15

[104] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, N9,2003, 2480

გადაწყვეტილებას სსკ-ს 1160-ე მუხლი დაუდო საფუძვლად და განმარტა:"სკ-ის 1158-ე მუხლის თანახმად, მეუთლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას)... ის გარემოება რომ მოსარჩელეს თავისი თანასაკუთრების უფლება არ აღურიცხავს საჯარო რეესტრში მას არ ართმევდა უფლებას საერთო ქონებაზე და არ უკრძალავდა შემდგომში თნდაც განქორწინების შემდეგ მოეთხოვა აღნიშნული უფლების რეგისტრაცია. ამდენად მოცემულ შემთხვევაში ბინის გამსხვისებელი არ იყო ბინის ერთადერთი მესაკუთრე, ხოლო სკ-ის 1160-ე მუხლის თანახმად, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების განკარგვასთან დაკავშირებით დადებული გარიგება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი მეორე მეუღლის მოთხოვნით თუ ამ ქონების განმკარგავ მეუღლეს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება და დამტკიცებული იქნება რომ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა ან უნდა სცოდნოდა რომ მას ასეთი უფლება არ ჰქონდა"[105]

სასამართლო ასევე მიუთითებდა სკ-ს 187-ე მუხლზე და განმარტავდა რომ „კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნივთის გადაცემამდე". ასევე მიუთითებდა, რომ ვერ იმოქმედებდა საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმცია ,რადგან რეესტრის ჩანაწერები მხოლოდ იმ შემხვევაში ითვლება სწორად, თუ შემძენმა არ იცის რომ ჩანაწერები უზუსტოა, ან ამ ჩანაწერის მიმართ შეტანილი არ არის საჩივარი. ვინაიდან ხელშეკრულების დადებამდე მოსარჩელეს თანასაკუთრებიდან საკუთარი წილის გამოყოფის შესახებ სასამართლოში ჰქონდა სარჩელი შეტანილი და ვინაიდან საკუთრების შემძენი იყო მოსარჩელეს ოჯახის ნათესავი, მან იცოდა რომ სადაო ბინა იყო თანასაკუთრების საგანი. საგულისხმოა რომ სასამართლომ სწორად გადაწყვიტა დავა, თუმცა სამართლებრივ საფუძვლად უნდა მიეთითებინა მხოლოდ 312-ე მუხლის მე2 ნაწილი, ე.ი ის ფაქტი, რომ გარიგება დადებულია მას შემდეგ რაც მოსარჩელე მეუღლის მიერ მოთხოვნილი იყო თანასაკუთრებიდან თავისი წილის გამოყოფა. აგრეთვე აღსანიშნავია რომ არასწორია სასამართლოს განმარტება საკუთრების შემძენის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით. არასწორია 1160-ე მუხლის განმარტებაც უძრავ ქონებასთან მიმართებით, რადგან უძრავი ქონებების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია ემსახურება ერთადერთ მიზანს - მესამე პირების დაცვას. მესამე პირი შეიძლება ენდოს მხოლოდ მარეგისტრირებელ ორგანოში

[105] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, N2, 2005, 34-36

დარეგისტიტრებულ უფლებას და მას არ შეუძლია კონკრეტულ სიტუაციაში ივარაუდოს წარმოიშვა თუ არა საკუთრება. [106]

სხვა გადაწყვეტილებაში სასამართლო მიუთითებს სკ-ს 1513-ე და 1433-ე მუხლებზე და ამბობს, რომ კანონი აუცილებლადმოთხოვნად აყენებს სანივთოსამართლებრივი უფლების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის ფაქტს . შესაბამისად უძრავ ნივთებზე საკუთრების წარმომშობისთვის აუცილებელია მისი დარეგისტრირება საჯარო რეესტრში. ამავე გადაწყვეტილების მიხედვით პალატა არ იზიარებს კასატორის მითითებას ,რომ 185-ე მუხლი ზოგადია, ხოლო 1160-ე მუხლი კი საოჯახო ურთიერთობებთან მიმართებაში - სპეციალური. ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა ზოგად ნორმას და ამით დაიცვა მესამე პირის ინტერესები , თუმცა დაცვის მიღმა დარჩა მეუღლე , რომელსაც საოჯახო კანონმდებლობის მიხედვით აქვს ზუსტად ანალოგიური უფლებები, როგორც მის საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მეუღლეს.[107]

ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების შემთხვევაში, თუ მეუღლეთა შორის არ არსებობს საქორწინო ხელშეკრულება, შეძენის მომენტში არის შესაძლებელი მეუღლეები დარეგისტრირდნენ თანამესაკუთრეებად, ისევე როგორც ქონების შეძენის შემდეგ საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვილილების შეტანის გზით . შესაბამისად მათ შეუძლიათ დაიცვან თავიანთი საკუთრების უფლება. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები კი საერთოა სამართლის ყველა დარგისთვის. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე მიუხედავად კანონმდებლობაში არსებული გარკვეული ხარვეზებისა , სასამართლოს პრაქტიკა ამ კუთხით ერთიანია და უპირატესობას ანიჭებს საჯარო რეესტრის უტყუარობის და სისრულის პრეზუმციას, კეთილსინდისიერი შემძების ინტერესების დაცვას. საქართველოს სასამართლოს პრაქტიკა ამ კუთხით მსგავსია უცხოეთის კანონმდებლობის. „დაუშვებელია მესამე პირთა მიმართ დადგეს სამართლებრივი შედეგები , თუ ამ სამართლებრივი შედეგების გამომწვევი

[106] მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება. ეკა ზარნაძე; ქართულის სამართლის მიმოხილვა, 2007 წ. გვ.132

[107] ჩიკვაშვილი, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობლემები, სამართალი 2002, გვ44

ინფორმაცია არ არის დადგენილი ფორმით საჯაროდ გაცხადებული, ხელმისაწვდომი კონტროჰენტისთვის“[108]

მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება. [109]ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით მოსარჩელეს წარმოადგენდა გარდაცვლილი თანამესაკუთრის შვილი, რომელიც მოითხოვდა გაუქმებულები ნოტარიუსის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობა, რომელიც მის დედინაცვალს და ნახევარ დას აძლევდა მემკვიდრეობის სრულ უფლებას, ხოლო მოსარჩელის წილი კი განსაზღვრული არ იყო, მოსარჩელე ასევე მოითხოვდა მამამისის მიერ მოპასუხისთვის გადაცემული უძრავი ქონებიდან (რომელიც შემდგომში გასხვისდა 85 000 ლარად) ანაზღაურებულიყო 28 333 სამკვიდროდან 1/6 წილის გამოყოფის ნაწილში. სასამრთლომ მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ცნო მოპასუხის სახელზე არსებული ქონების 1/5 წილის მესაკუთრედ, ხოლო ფულადი ანაზღაურების ფარგლებში არ დააკმაყოფილა, არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარიც. მოსარჩელემ მიმართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა სადავო საკმვიდროდან 1/3 ნაწილის მიკუთვნება და მოპასუხისთვის 5 000 ლარის დაკისრება. საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კასატორის მოთხოვნები.[110]

კასატორი მიუთითებდა რომ თანასაკუთრება მამკვიდრებლის ქონებაზე არ არსებობდა, რადგან იგი არ იყო დარეგისტრირებული მარეგისტრირებელ ორგანოში. საკასაციო სასამართლომ განმარტა რომ სკ-ის 312-ე მუხლიდან აშკარაა რომ საჯარო რეესტრის უტყუარობის და სისრულის პრეზუმპფციიიდან გადახვევა შესაძლებელია როცა არსებობს სათანადო მტკიცებულებები. თანასაკუთრებსი წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი კი 173- ე მუხლის მიხედვით არის კანონი და გარიგება. მოცემულ შემთხვევაშ კი თანასაკუთრება წარმოიშვა კანონით, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლით. (ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება წარმოადგენს მეუღლეეების თანასაკუთრებას) ამგვარად, მოპასუხეს სკ-ის 1158-ე მუხლის მიხედვით

[108] ზოიძე,მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი, გვ.27

[109] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-1058-1325-09

[110] მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშბის პრობლემა უძრავ ნივთბთან მიმართებით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის არ არსებობის პირობებში, სალომე ქავთარაძე, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012 წელი, გვერდი 44

წარმოშობილი ჰქონდა თანასაკუთრება და საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებლობა ვერ წაართმევს მას საკუთრების უფლებას, გარდა ერთი გამონაკლისისა, როცა ერთმანეთს უპირირსპირდება ერთი მხრივ, თანამესაკუთრის, ხოლო მეორე მხრივ კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესები. იმ შემთხვევაში თუ თანასაკუთრების საგანს იძენს კეთილსინდისიერი შემძენი, აღნიშნული გავლენას მოახდენს საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებელი საკუთრების უფლებაზე. სასამართლო განმარტავს რომ საკუთრება არის სანივთო უფლება და ამ უფლების წინაშე ანგარიშვალდებულია აბსოლიტურად ყველა პირი, ვისთვისაც ცნობილია ამ უფლების ქონის შესახებ. ეს ვალდებულება, რა თქმა უნდა, ვრცელდება იმ მეუღლეზეც რომელიც თანამესაკუთრის თანხმობის გარეშე ასხვისებს უძრავ ქონებას.[111]

იურიდიულ დოქტრინაში გავრცელებული აზრის თანახმად მეუღლეთა თანასაკუთრებაზე შეგვიძლია საუბარი მაშინ, როდესაც ორივე მათგანი დარეგისტრირებულია მესაკუთრედ საჯარო რეესტრში.[112] სამოქალაქო კოდექსის დანაწესი საკუთრების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით იმპერატიულია, არ არის დამოკიდებული მხარეთა ნება-სურვილზე. „183-ე მუხლის პირველ ნაწილს ალტერნატივა არ მოეპოვება.“[113]

საკასაციო სასამართლოს განმარტებით საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების დაურეგისტრირებლობა არ წარმოადენს დამაბრკოლებელ გარემოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საკუთრების ან სხვა უფლების შემძენს უნდა სცოდნოდა რომ გარიგების ობიექტი წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას.[114] ამ შემთხვევაში საინტერესოა თუ ვის გულისხმობს სასამართლო იმ პირებში, ვისაც უნდა სცოდნოდა მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების შესახებ ინფორმაცია, მით უმეტეს რომ ამ პირთა ვინაობას არ განმარტავს არც სამოქალაქო კოდექსი და არც სასამართლო პრაქტიკა. აღნიშნული საკითხი ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში წარმოადგენს სასამართლოს მსჯელობის

---

[111] მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშბის პრობლემა უძრავ ნივთბთან მიმართებით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის არ არსებობის პირობებში, სალომე ქავთარაძე, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012 წელი, გვერდი 45

[112] მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საკითხები, კალანდაძე თეა, მართლმსაჯულება და კანონი, N2, გვერდი 103, 2011 წელი

[113] საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო, სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვერდი 96 და შემდგომი

[114] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 16 სექტემბრის Nას-409-756-05 განჩინება

საკითხს. სწორედ სასამართლომ უნდა დაადგინოს კონკრეტულ პირს უნდა ცოდნოდა თუ არა თანასაკუთრების უფლების არსებობის შესახებ.

ნორმალური ურთიერთობების პირობებში ასეთი პირების წრეში, პირველ რიგში, ხვდებიან ოჯახის წევრები, ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევაში თავად მოსარჩელე. გადაწყვეტილებაში მეუღლეთა თანასაკუთრების არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებად მითითებულია ქორწინების მოწმობა, რეალურად კი საკუთრების უფლება უნდა დასტურდებოდეს საჯარო რეესტრის ამონაწერით, განჩინებაში ასევე არ არის მითითებული როდის იქნა აღნიშნული ქონება შეძენილი, ან ხომ არ იქნა მიღებული მემკვიდრეობის გზით ან ჩუქების გზით, ე.ი ხომ არ არსებობს იმის საფუძველი რომ ორივე მხარე ყოფილიყო პირველი რიგის მემკვიდრე.

მართალია სასამართლო პრაქტიკა ერთგვაროვნად წყვეტს კეთილსინდისიერი შემძენის შემთხვევაში თანასაკუთრების საკითხს, თუმცა ამას ვერ ვიტყვით ამ გადაწყვეტილებაზე. მართალია მოსარჩელემ იცოდა რომ სადავო ქონებაზე იყო ორივე მეუღლის თანასაკთრების უფლება, მაგრამ საინტერესოა, საოჯახო სამართლის ნორმებს მიენიჭა თუ არა უპირატესობა საჯარო რეესტრის უტყუარობის და სისრულის პრეზუმფციასთან მიმართებთ? უზენაესმა სასამართლომ ფაქტობრივად უარი თქვა საჯარო რეესტრის ამონაწერის, როგორც მტკიცებულების, გამოყენებაზე და მოსარჩელის დედინაცვალს ყოველგვარი გამოკვლების გარეშე მიანიჭა საოჯახო ნორმებით გათვალისწინებული თანასაკუთრების უფლება.

სანივთო სამართლის ნორმებისთვის უპიარესობის მინიჭება, რაღაც კუთხით, წინააღმდეგობაში მოდის მეუღლეთა თანასაკუღების საოჯახო-სამართლებრივ პრინციპთან, მაგრამ სკ-ის 1158-ე მუხლი არ არის იმპერატიული ნორმა, ის არ ავალდებულებს თანამესაკუთრეებს საკუთარი უფლება დაარეგისტრირონ საჯარო რეესტრში, იგი არის თანამესაკუთრეების შესაძლებლობა, შესაბამისად, ამ მუხლს არ შეიძლება ჰქონდეს ავტომატური მოქმედების ფუნქცია.[115] პრობლემას აქტუალურობას ძენს ის ფაქტი, რომ კანონმდებელმა არ გააკეთა აღნიშვნა 1158-ე მუხლი წარმოადგენს „საკუთრების უფლების წარმომშობ თუ საკუთრების

[115] „მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საკითხები“, კალანდაძე თეა, მართლმსაჯულება და კანონი, N2 (29), გვერდი 103, 2011 წელი.

უფლების მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას.“[116] მეუღლეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს თავიანთ საკუთრების უფლების დასარეგისტრირებლად, რა თმა უნდა, თუ მოთხოვნა გამართლებულია შესაბამისი მტკიცებულებებით.[117] 1158-ე მუხლის დღევანდელი რედაქცია სწორედ ამის შესაძლებლობას იძლება, ხოლო იმ შემთხვევაში „თუ მეუღლეებმა არ ისარგებლეს მათთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით, გამოდის რომ იმოქმდეს საკუთარი ინტერესების საზიანოდ. რადგან ქორწინება მთლიანად ორი მხარის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, არც მათ ქონებრივ ურთიერთობებში არ შეიძლება სახელმწიიფო ჩაერიოს საკუთარი იძულების მექანიზმით.”[118]

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე რეგისტრაციის არქონამ მივყავართ ორ სხვადასხვა შედეგამდე: ერთი როდესაც ჩანაწერის არ არსებობის მიუხედავად, ქონებაზე საკუთრების უფლება მაინც წარმოიქმნება, როგორც ეს ზემოთგანხილულ შემთხვევაში მოხდა, და მეორე, როცა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს ენიჭება უპირატესობა და როგროც სასამართლო პრაქტიკა, ასევე კანონმდებელიც, სწორედ მის ინტერესებს იცავს.[119]

საოჯახო კანონმდებლობის სრულყოფისთვის უმჯობესი იქნებოდა სამოქალაქო კოდექსში პირდაპირ იყოს გაწერილი, რომ თანასაკუთრება დარეგისტრირებულ იქნას საჯარო რეესტრში.

2.1.7 მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფა

როგორც უკვე მრავალჯერ აღინიშნა, მეუღლეთა თანასაკუთრება ორივე მათგანს ეკუთვნის თანაბრად.

---

[116] ჩაჩავა სოფიო, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წელი, გვერდი 148

[117] „მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საკითხები“, კალანდაძე თეა, მართლმსაჯულება და კანონი, N2 (29), გვერდი 104, 2011 წელი

[118] მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობის პრობლემა უძრავ ნივთებთან მიმართებით საჯარო რეესტრში რეგისტაციის არ არსებობის პირობებში, სალომე ქავთარაძე, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი,2012 წელი, გვერდი 47

[119] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2005 წელი, N2, Nას 307-643-05, გვერდი 36

თანასაკუთრების გაყოფის საკითხი შეიძლება დადგეს როგორც განქორწინების დროს, ასევე ქორწინების პერიოდშიც. თუმცა სხვადასხვაა თანასაკუთრების გაყოფის მოტივები.

განქორწინების დროს თანასაკუთრების გაყოფა ბუნებრივია, შეწყდა ქორწინება, რის საფუძველზეც წარმოიშვა თანასაკუთრება, შესაბამისად ქორწინების შეწყვეტა იწვევს როგორც პირადი, ასევე ქონებრივი უფლება-მოვალეობების შეწყვეტას.

იშვიათ შემთხვევებში, თანასაკუთრების შეწყვეტა ხდება ქორწინების პერიოდში, ეს ხდება მაშინ, როცა მეუღლეები სხვადასხვა მიზეზების გამო იძულებულნი არიან ცალ-ცალკე იცხოვრონ, მათ მიერ შეძენილი ქონება ითვლება თანასაკუთრებად,გარდა იმ შემთხვევისა, როცა მეუღლეები თანხმდებიან რომ აღნიშნული ჩაითვალოს ინდივიდუალურ საკუთრებად. [120]

ქორწინების პერიოდში საერთო ქონების გაყოფის კიდევ ერთი მაგალითია, როცა ერთ -ერთ მეუღლეს, რომელსაც სხვა ქორწინებიდან ჰყავს შვილი ან სხვა ვინმე პირი, ვინც მისთვის მნიშვნელოვანია, მშობელი, და, ძმა, სჭირდება მატერიალური დახმარებისთვის სახსრები, ხოლო მეორე მეუღლე კი არ ეთანხმება მას, ასეთ დროს ხდება თანასაკუთრების გაყოფა, რადგან თუ ქონება არ გაიყო წილის გაყიდვა ვერ მოხერხდება.[121]

მეუღლეებმა თანასაკუთრების გაყოფის დროს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტონ როგორც კონკრეტული ქონების ბედი, ასევე საკუთარი წილები.

„მეუღლეებს შეუძლიათ შეადგინონ საერთო ქონების გაყოფის აქტი და სანოტარი ორგანოში დაამოწმონ იგი, ასედ დროს შესაძლებელია სანოტარო ორგანომ მეუღლეთა თხოვნის საფუძველზე გასცეს მოწმობა თანაზიარ საკუთრებაში თითოეული მეუღლის წილის შესახებ.“[122] იმ შემთხვევაში თუ ურთიერთშეთანხმება თანასაკუთრების გაყოფასთან დაკავშირებით მიღწეული ვერ იქნება, საქმეში ერთვება სასამართლო.[123] ვინაიდან ქორწინბის პერიოდში ძირითადად არსებოსბ ურთიერთშეთანხმება, სასამართლო მხოლოდ განქორწინების დროს ერევა. სასამართლო თითოეული მეუღლის წილთან ერთად, ასევე განსაზღვრავს

[120] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ.163
[121] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ.163
[122] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ.163
[123] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, თბილისი, 2006 წელი, N9, გვერი 7

კონკრეტულად რომელი ნივთი რომელ მეუღლეს უნდა მიეკუთვნებოდეს განქორწინების შემდეგ.

თუმცა არის კონკტერული ნივთები, რომელთა იურიდიული ბედი განქორწინებამდე განსაზღვრულია კანონის მიერ. ასეთია პროფესიული საქმიანობის ქონება. [124]მიუხედავად იმისა რომ ასეთი ქონება წარმოადგენს თანასაკთრებას, მათ აქვთ განსაკუთრებული ფუნქცია, ემსახურებიან კონკრეტული ადამიანის პროფესიას, და ამიტომაც საერთო ქონების გაყოფის დროს ისინი მიეკუთვნებიან იმ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებათა რიცხვს, რომლის პროფესიასაც ემსახურებიან.ასეთი შეიძლება იყოს პიანინო პიანისტისთვის, სამხატვრო მოწყობილობები მხატვრისთის და ა.შ.

თანასაკუთრების სასამართლოს მეშვებით გაყოფის დროს სასამართლო პირველ რიგში გადაახარისხებს თუ რა არის მეუღლეების ინდივიდუალური საკუთრება, ამის შემდეგ კი უნდა დადგინდეს თუ რა დარჩა საერთო საკუთრებაში, რაც შემდეგ უნდა დადგინდეს ნივთობრივი და თანხობრივი ოდენობით. თითოეულ მეუღლეზე მიკუთვნება შესაძლებელია როგორც ნატურით ასევე ფულადი ერთეულით. ნატურით გაყოფის დროს პრობლემურია ის რომ ძალიან რთულია ღირებულების მიხედვით ნივთები მეუღლეებს შორის გადანაწილდეს სრული სიზუსტით. ასეთ დროს უნდა მოხდეს ფულადი კომპენსაცია იმ მეუღლის მიერ რომელმაც ნატურით უფრო მეტი ნივთი მიიღო და ამ ნივთების თანხობრივი გამოხატულებაც მეტია მეორე მეუღლის მიერ მიღებულზე.[125]

ასევე არის შემთხვევები როცა ერთ-ერთი მეუღლე მეორე მეუღლზე განაწყენებული, ან მხოლოდ იმ მიზნით რომ მეორე მეუღლემ მიიღოს ნაკლები თანასაკუთრებიდან, საერთო საკუთრებაში არსებულ ქონებას ყიდის, ასეთ დროს სასამართლო ითვალისწინებს გაყიდულ ქონებასაც და ხდება დაზარალებული მეუღლისთვის გაყიდული ქონებით მიღებული ზიანის კომპენსირება, თუმცა სასამართლოს მიერ ასევე უნდა იქნეს მიღებული ის მიზნებიც რაც საერთო ქონების განკარგვის დროს კონკრეტულ მეუღლეს ქონდა, მაგალითად თუ საერთო ქონების განკარგვა მოხდა ოჯახის სხვა წევრების ჯანმრთელობის გადასარჩენად ან რაიმე ისეთი მიზნით, რაც მორალურად ამართლებს ქონების

[124] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ.165
[125] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ.165

განმკარგავი მეუღლის ქმედებას, ასეთ დროს კომპენსირება არ უნდა მოხდეს და ქონების განმკარგავი მეუღლის წილი არ უნდა შემცირდეს.[126]

განქორწინების დროს შესაძლოა მეუღლეებმა ურთიერთშეთანმებით გადაინაწილონ გარკვეული ქონება, თუმცა სადავო გახდეს დარჩენილი ნაწილი. ასეთ დროს სასამართლომ უნდა განსაღვროს საერთო ქონების გაყოფამდე ღირებულება და შემდგომ თითოეული მეუღლის წილის შესაბამისად უნდა მოხდეს დარჩენილი ქონების გადანაწილება.

იმ შემთხვევაში თუ ქორწინების პერიოდში მოხდა საერთ ქონების გაყოფა სასამართლოს მიერ, შეიძლება აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე გაუქმდეს. ასეთ დროს გაყოფილი ქონება ისევ გადაიქცება მეუღლეთა თანასაკუთრებად.

როგორც წესი , მეუღლეთა თანასაკუთრება იყოფა თანაბარ წილებად, თუმცა, რა თქმა უნდა შესაძლებელია შეთანხმებულ იქნეს განსხვავებული წესიც. უფრო მეტიც, სამოქალაო კოდექსის 1168-ე მუხლში პირდაპირ არის გაწერილი აღნიშნული შესაძლებლობა. მაგალითად, თუ განქორწინების დროს არასრულწლოვანი შვილები საცხოვრებლად დარჩნენ ერთ-ერთ მეუღლესთან , რამაც ამ მეუღლის მატერიალური საჭიროებები გაზარდა, შესაძლოა საერთო ქონების გაყოფისას ამ მეუღლის წილი გაიზარდოს, იმ შემთხვევაში თუ მეორე მეუღლე უარს ამბობს მატერიალურ დახმარებაზე. სასამართლოს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს მეუღლეთა შორის წილების გადანაწილების საკითხი იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე საერთო ქონებას ფლანგავდა მეორე მეუღლესთან შეუთანხმლებლად . კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს იმ შემთხვევებს , როდესაც შესაძლებელია საერთო ქონების არათანაბრად გაყოფა. სხვა შემთხვევაში საერთო ქონება, თუ მეუღლეთა შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, იყოფა თანაბარ წილებად. [127]

სასამართლოს შეუძლია არამხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს მეუღლეთა წილები, არამედ მას შეუძლია გადაწყვიტოს რა ქონება შეიძლება ჩაითვალოს საერთო საკუთრებად. მაგალითად, შესაძლოა ქონება შეძენილი იყოს ქორწინების პერიოდში, თუმცა ქონების შეძენის დროს ქორწინება

[126] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ.165

[127] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ.167

ფაქტობრივად ყოფილიყო შეწყვეტილი. ასეთ დროს ქონება მიიჩნევა ინდივიდუალურ საკუთრებად. თუმცა აუცილებელია კარგად იქნეს გამოკვლეული ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ფაქტი, რადგან პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთ-ერთი მათგანი ოჯახის შენარჩუნების მიზნით აქტიურად ეხმარება მეორე მეუღლეს ქონების შეძენისას. ასეთ შემთხვევაში ქონება შეიძლება ჩაითვალოს თანასაკუთრებად.[128]

2.1.8 მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი

საერთო ქონების გაყოფის დროს ადგილი შეიძლება ჰქონდეს ორ შემთხვევას: პირველი, როცა მეუღლეებმა თავად განსაზღვრეს ქონების განაწილების გზა და მეორე, როცა ადგილი აქვს მეუღლეთა შორის დავას.

მოძრავი ქონების გაყოფა არ წარმოშობს სირთულეებს, რადგან ის არ არის დაქვემდებარებული რეგისტრაციას და ყოველგვარი გართულებული პროცედურების გარეშე იყოფა.

რაც შეეხება სპეციალურ რეგისტრაციის საჭიროების მქონე ქონებას, აქ აუცილებელია მეუღლეთა ურთიერთშეთანხმების წერილობითი ფორმით დადება. მეუღლეებს ასევე უფლება აქვთ მიმართონ ნოტარიუსს და მისგან მიიღონ მეუღლეთა თანასაკუთრებაში წილზე საკუთრების მოწმობის უფლება. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ნოტარიუსის მიერ დაუშვებელია წილზე საკუთრების მოწმობის უფლების გაცემა, თუ საქორწინო ხელშეკრულებით დადგენილია თანასაკუთრების კანონით დადგენილი წესებისგან განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი.[129]

ხოლო იმ შემთხვევაში თუ მეუღლეები ვერ თანხმდებიან თავიანთ წილებზე, მეუღლეთა შორის წარმოშობილ დავას წყვეტს სასამართლო. აქვე საგულისხმოა რომ მოსამართლეს არ არქვს უფება უარი თქვას საქმისწარმოებაზე იმ მოტივით რომ მეუღლეები იმყოფებიან ქორწინებაში, რადგან საერთო ქონების გაყოფის საკითხი შეიძლება დადგეს როგორც ქორწინების შეწყვეტის შემდეგ, ასევე ქორწინების პერიოდშიც.

---

[128] ნ.შოშიაშვილი , მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები სანოტარო პრაქტიკაში.დისერტაცია. თბილისი , 2004 წელი

[129] მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებები, მართლმსაჯულება და კანონი, 2013 წელი, დავით ლობჟანიძე

საქმე განხილულ უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის განსჯადობის საერთო წესების მიხედვით, ე.ი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ სასამართლო დავა ეხება ერთობლივად შეძენილი მოძრავი ქონების დავას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ დავის საგანია უძრავი ქონების გაყოფა, განსჯადობა შეიძლება იყოს სპეციალური, და ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ განიხილოს დავა. თუმცა თუ სადავოა ორი არ მეტი ქონება, საქმე უნდა განიხილოს ერთ-ერთი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ.[130]

რაც შეეხება შეგებებულ სარჩელს, იგი წარედგინება იმ სასამართლოს, რომელმაც განიხილა განქორწინების სარჩელი, იმის მუხედავად თუ რომელი სასამართლოა განსჯადი.[131]

ზოგადი წესის თანახმად, შესაძლებელია ერთ წარმოებაში გაერთიანდეს რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის მოთხოვნათა ხასიათი მსგავსი, არის თუ არა მოთხოვნებს შორის ურთიერთკავშირი, არსებობს თუ არა საერთო მტკიცებულებები და ასე შემდეგ. მოთხოვნათა გაერთიანების მიზანია საქმის ეფექტურად, დროულად და სამართლიანად გადაწყვეტა. თუმცა, დაუშვებელია ერთ საქმის წარმოებაში გაერთიანდეს ისსეთი საქმეები რომელთაც კავშირი არ აქვთ ერთმანეთთან. მაგალითად: საერთო ქონების გაყოფის თაობაზე დავა და ალიმენტზე დავა, ან შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრაზე დავა და ა.შ.

ქონების გაყოფის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს შემდეგი მტკიცებულებების მიხედვით: ა) რეგისტრირებულ ქორწინებაშ ყოფნა, ბ) განქორწინება ან ქორწინების დროს საოჯახო ურთიერთობათა ფაქტობრივი შეწყვეტა, გ) საერთო ქონების შემადგენლობა და მისი საბაზრო ღირებულება, დ) საქორწინო კონტრაქტის არსებობა / არარსებობის ფაქტი, ე) სხვა გარემოებების საფუძველზე, რამაც შეიძლება გავლენა იქონიან თანასაკუთრების გაყოფის დროს

[130] მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებები, მართლმსაჯულება და კანონი, 2013 წელი, დავით ლობჟანიძე

[131] მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებები, მართლმსაჯულება და კანონი, 2013 წელი, დავით ლობჟანიძე

მეუღლეთა წილებზე, კონკრეტული ქონების ამა თუ იმ მეუღლისთვის მინიჭების თაობაზე და სხვ.[132]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმისათვის რომ ქონებაზე გავრცელდეს თანასაკუთრების რეჟიმი, ქონება შეძენილი უნდა იყოს რომელიმე მეუღლის მიერ ქორწინების პერიოდში. მაგრამ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მეუღლეები არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, თუმცა ისინი ერთად ეწებიან საოჯახო მეურნეობას. მათზე არ ვრცელდება საქორწინო საოჯახო კანონმდებლობა, შეძენილი ქონება ამ პირებს შეიძლება ეკუთვნოდეთ საერთო საკუთრების უფლებით. ამიტომ სასამართლოსთვის არ არის საკმარისი რომ დადგინდეს მხოლოდ საერთო საკუთრების არსებობა, აუცილებელია არსებობს რეგისტრირებული ქორწინების ფაქტიც.

ამგვარ დავებზე მოქმედებს მტკიცების ტვირთის ზოგადი წესი. ფაქტებზე, თუ რა ქონება იქნა შეძენილი ქორწინების დროს, რა ქორწინების შეწყვეტის შემდეგ, რა უნდა იქნას აღიარებული ინდივიდუალურ საკუთრებად, ხოლო რა საერთო საკუთრებად, რა თანხები დაიხარჯა ინდივიდუალურ საკუთრებაზე და აშ მტკიცების ტვირთი ეკუთვნის მოსარჩელეს.

რაც შეეხება მტკიცებულებებს. შესაძლოა წარმოდგენილ იქნას სხვადასხვა სახის მტკიცებულებები, მაგალითად, უფლებადამდგენი დოკუმენტები, ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, ხელშეკრულებები, საკუთრების უფლების მოწმობა, საჯარო რეესტრის ამონაწერი, სასამართლო გადაწყვეტილება, რითად დადგენილია საკუთრების უფლება და ა.შ მოძრავი ნივთების შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოწმის ჩვენებაც.

თუ ერთ-ერთი მეუღლე სასამართლოში განაცხადებს რომ ის და მისი მეუღლე შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს წერილობთი დოკუმენტი წილების და ქონების განაწილების თაობაზე ან საქორწინო ხელშეკრულება, რაც დამოწმებულია სანოტარო წესით.

[132] მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებები, მართლმსაჯულება და კანონი, 2013 წელი, დავით ლობჟანიძე

საერთო ქონების გაყოფა წარმოებს თანაბარწილებად, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს კანონის დანაწესებს, თუ არსებობს კანონით პირდაპირ გათვალისწინებული გარემოებები;

სასამართლო პრატქიკაში ხშირია შემთხვევები როცა შეუძლებელია თანასაკუთრების ნატურით გაყოფა.ასეთ დროს სასამართლო ერთ-ერთ მეუღლეს მიაკუთვნებს მთლიან ქონებას, ხოლო მეორე მეუღლეს კი საკუთარი წილის შესაბამისად დაუდგენს კომპენსაციას, რაც უნდა გადაუხადოს იმ მეუღლემ რომელსაც დარჩა თანასაკუთრება. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლოა მეორე მეუღლეს არ სურდეს კომპენსაციის მიღება და სურდეს ნატურით მიღება, სასამართლოს გადაწყვეტილება თანასაკუთრების ჩამორთმევაზე კი წარმოადგენს საკუთრების უფლების შეზღუდვას, მაშინ როცა საკთრების უფლება ერთ-ერთი ყველაზე გარანტირებული კონსტიტუციური უფლებაა.როდესაც მეუღლის სურვილს არ წარმოადგენს ჩამოერთვას საკუთრება და მის სანაცვლოდ მიიღოს კომპენსაცია სასამართლოს გდაწყვეტილება ამ ნაწილში მისი კანონიერი უფლებების დარღვევაა და უნდა გაუქმდეს.[133]

როცა საერთო საკუთრების ნატურით გაყოფა შეუძლებელია და არავის სურს კომპენსაციის მიღება, მეუღლეებს შეუძლიათ მოითხოვონ ასეთ ქონების სარგებლობისთვის წესის განსაზღვრა. მაგალითად შესაძლოა სასამართლომ გადაწყვიტოს რომ აღნიშნული საერთო საკუთრება გაქირავდეს და მიღებული შემოსავალი გადანაწილდეს მეუღლეებს შორის მათი წილების შესაბამისად, ან შესაძლოა მოფიქრებულ იქნას რაიმე სხვა გზა ორივე მეუღლის ინტერესების გათვალისწინებით.

საერთო ქონების გაყოფის შესახებ სასამართლო დავებში შესაძლოა ჩაებან მესამე პირებიც, როგორც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ასევე მის გარეშეც. შესაძლოა აღნიშნულ მესამე პირებს ჰქონდეთ საკუთარი მოთხოვნები სადავო ქონებაზე ან სხვაგარად შესაძლოა იყვნენ დაკავშირებული მასთან. სასამართლო დავებში მესამე პირების ჩაბმაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

მესამე პირების საქმეში ჩართვის შემთხვევები პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია. მეუღლეები თანასაკუთრების საგანზე დამოუკიდებელი საკუთრების უფლების

[133] მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებები, მართლმსაჯულება და კანონი, 2013 წელი, დავით ლობჟანიძე

მოპოვებისთვის ხშირად მიმართავენ შემდეგ გზას: აცხადებენ რომ თანასაკუთრება არის მათი სხვა ოჯახის წევრის , დედის, მამის, დის, ან ახლობელის. ასეთ დროს სასამართლო თავისთავად იძულებულია სასამართლო პროცესში ჩართოს ის კონკრეტული პირი, რომელზეც მოსარჩელე ან მოპასუხე მიუთითებს და დაადგინოს თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული სიმართლეს. სასამართლომ მესამე პირებს უნდა განუმარტოს თავიანთი უფლება-მოვალეობები, ასევე უნდა განემატოთ მათი უფლების შესახებ რომ აღძრან სარჩელი.[134]

სასამართლო გადაწყვეტილება საერთო ქონების გაყოფის საქმეზე უნდა იყოს დასაბუთებული, სრული, უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს და ზუსტად უნდა სცემდეს პასუხს მოსარჩელის და მოპასუხის აბსოლუტურად ყველა მოთხოვნას.

სარეზოლუციო ნაწილში აღჭერილი უნდა იყოს მიკუთვნებული ქონების რეკვიზიტები, დასახელება, ადგილმდებარეობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება, გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე.

2.2 მეუღლეთა ქონებრივი ვალდებულებები

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით მეუღლეთა საერთო ქონების შემადგენლობაში ქონებრივი სახის ვალდებულებებები უნდა იყოს ჩართული თუ არა. ერთნი ამტკიცებენ რომ რადგან განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანი ინსტიტუტი საოჯახო სამართალში არის მეუღლეთა თანასაკუთრება (მეუღლეთა საერთო საკუთრება, ოჯახის ერთი მთლიანობის აღქმით), ამგვარად მათი ვალდებულებებიც უნდა იყოს საერთო,ე.ი. მათ მოთხოვნის უფლებებთან ერთად უნდა გააჩნდეთ მოვალეობები. სხვა მოსაზრებით, კი მეუღლეთა ვალდებულებებზე არ შეიძლება გავრცელდეს თანასაკუთრების რეჟიმი.საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იზიარებს პირველ მოსაზღებას და მეუღლეთა ვალებს განიხილავს როგორც მათ საერთო ქონებრივ ვალდებულებებს.[135]

---

[134] მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებები, მართლმსაჯულება და კანონი, 2013 წელი, დავით ლობჟანიძე

[135] ეკატერინე ნინუა, მეუღლეთა ურთიერთობების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, 2012 წ, გვ. 49

მეუღლეთა ქონებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს პირადი და საერთო ვალი. პირად ვალს , ანუ ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ ვალს , წარმოადგენს ისეთი ვალი რომელიც აღებულია კონკრეტულად ამ მეუღლის ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, ქორწინებამდელი ვალი, ან ვალი რომელიც აღებულია ქორწინების პერიოდში მაგრამ მოხმარდა ვალის ამღების პირად საჭიროებებს, აგრეთვე პირადი ხასიათის ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო , მაგალითად ალიმენტის გადახდის ვალდებულება, სამოქალაქო ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ა.შ.

„საერთო ვალი კი აღებულია ორივე მეუღლის , ან შესაძლოა ერთ-ერთის მიერ, მაგრამ მეორე მეუღლის , ან ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე „[136] მაგალითად, ვალი რომელიც აღებულია საცხოვრებელი სახლის შესაძენად, ოჯახის წევრის სამკურნალოდ და ა.შ.

საერთო ვალები მეუღლეთა შორის ნაწილდება წილის პროპორციულად. ვალების გაყოფის საკითხი შეიძლება დადგეს როგორც ქორწინების პერიოდში, ასევე ქორწინების დასრულების შემდეგაც და არ არის დაკავშირებული საერთო ქონების გაყოფასთან. პასუხისმგებლობის სამართლებლივი საფუძველი არის კრედიტორის მოთხოვნა რომელიმე კრედიტორის , ან ორივეს მიმართ. განსაკუთრებით სპეციფიკური და მნიშვნელოვანი საკითხი არის არასრულწლოვანი შვილის მიერ სხვისთვის მიყენებული ზიანის მშობლების ქონებიდან ანაზღაურების საკითხი.

„მეუღლეთა ქონებაზე გადახდევინების მიქცევა ხდება დელიქტური ვალდებულებების მარეგულირებელი სამოქალაქო-სამართლებლივი ნორმების საფუძველზე.“[137]

თუ ერთ-ერთი მეუღლე ვალს იღებს თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ვალის გადახდევინება ხდება მისი ინდივიდუალური საკუთრებიდან , ან მისი თანასაკუთრების წილიდან. უპირველესად გადახდევინება ხდება ინდივიდუალური საკუთრებისგან, რადგან მისი განკარგვა მეტად მარტივია. მაგრამ, თუ ინდივიდუალური საკუთრების ღირებულება არ ჰყოფნის ვალის გადახდევინებას

[136] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ.169
[137] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2015 წ, მერიდიანი, გვ.169

აუცილებელია საერთო ქონება გაიყოს და მეუღლის ვალდებულება ასე შესრულდეს.

საერთო ვალის გადახდევინება ხდება მეუღლეთა თანასაკუთრებიდან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალი საერთოა თუ არა, წყვეტს სასამართლო.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო ინსტანციამ დაადგინა რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისთვის მიცემული ვალს არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი, რადგან ვალის ამღებმა ვალი გამოიყენა ოჯახის ინტერესებისთვის, გაემგზავრა რა საზღვარგარეთ და დაიწყო მუშაობა ოჯახის სარჩენად. [138]

არის შემთხვევები, როცა მეუღლეთა საერთო ვალი აღემატება მათი თანასაკუთრების ღირებულებას. ასეთ შემთხვევაში, გადახდევინება უნდა მოხდეს მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრებიდან თანაბარპროპორციულად.

თუ ერთ-ერთმა მეუღლემ ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება ამ დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანი სხვა პირითვის უნდა ანაზღაურდეს მეუღლეთა თანასაკუთრებიდან, თუმცა აუცილებელი წესით დადგენილ უნდა იქნეს რომ ქონება დანაშაულებრივი გზითაა შეძენილი. ხოლო თუ აარ არის დადგენილი თანასაკთრების დანაშულებრივი გზით შეძენა სისხლის სამართლის საქმზე გამოტანილი განაჩენით, ამ შემთხვევაში, ანაზღაურება უნდა მოხდეს მხოლოდ ზიანის მიმენებელის წილიდან და მისი ინდივიდუალური საკუთრებისან.

საგულისხმოა რომ მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფას გააჩნია ვადა, მასზე მოქმედებს 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადა. ვადა იწყება ქორწინების შეწყვეტის მომენტიდან , სპეციალურ სახელმწიფო ორგანოში ქორწინების შეწყვეტის რეგისტრაციის დღიდან. ხოლო 3 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ კი მეუღლეები კარგავენ თანასაკუთრებიდან გამომდინარე უფლებებზე სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩვენ გავაანალიზეთ საოჯახო კანონმდებლობა მეუღლეთა კანონისმიერი ურთიერთობების ფარგლებში.

[138] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, თბილისი, 2006 წელი, N9, გვერდი 3

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა კანონმდებლობაში არსებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი ხარვეზი. სამართლებრივი ხარვეზის შესწავლის, სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით და სხვადასხვა რეკომენდაციების გაანალიზების საფუძველზე მივედით შემდეგ დასკვნამდე: აუცილებელია სამართლებრივი თვალსაზრისით სათანადოდ რეგულირდებოდეს მეუღლეების მიერ თანასაკუთრების განკარგვის საკითხი, პრობლემის აქტუალურობა იზრდება მაშინ როცა საქმე ეხება მეუღლეთა ქორწინების შეწყვეტას ან სამკვიდრო ქონების გაყოფას მემკვიდრეთა შორის. მიუხედავად სასამართლო პრაქტიკის ცალსახა მიდგომისა, რომ თანასაკუთრება ყველა შემთხვევაში წარმოშობილია, თუ საქმე არ ეხება კეთილსინდისიერ შემძენს, აღნიშნული მიდგომა არ არის სრულყოფილი. 1158-ე მუხლისთვის 183-ე მუხლთან შედარებით უპირატესობის მინიჭება, თავის მხრივ ეწინააღმდეგება უზენაესი სასამათლოს რეკომენდაციებს.[139]

აუცილებელია ჩამოყალიბდეს თანასაკუთრების საჯარო რეესტში დარეგისტრირების პრაქტიკა, ან უკეთეს შემთხვევაში შეიცვალოს სამოქალაქო კოდექსის 1158- ე მუხლის რედაქცია და კანონმდებელმა დააკონკრეტოს რომ აღნიშნული მუხლი წარმოადგენს არა საკუთრების ავტომატურად წარმოშობის საფუძველს, არამედ თანამესაკუთრის შესაძლებლობას, დაარეგისტრიტოს საკუთრება საჯარო რეესტრში და მხოლოდ ამის შემდეგ გახდეს სრულუფლებიანი მესაკუთრე.

[139] საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007 წელი, გვერდი 96 და შემდგომი

ბიბლიოგრაფია

1. საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა), მეორე გამოცემა, რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წელი
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, საოჯახო სამართალი. მემკვიდრეობის სამართალი. სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი, რ. შენგელია, ზ. ახვლედიანი, ლ.ჭანტურია გამომცემლობა „საქართველო“, 2000 წელი
3. საოჯახო სამართალი, შ. ჩიკვაშვილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2004 წელი
4. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება, ეკა ზარნაძე, ქართული სამართლის მიმოხილვა, N1, 2007 წელი
5. მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობის პრობლემა უძრავ ნივთებთან მიმართებით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის არ არსებობის პირობებში, სალომე ქავთარაძე, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012 წელი
6. მეუღლეთა ურთიერთბების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ეკატერინე ნინუა, მართლმსაჯულება და კანონი, N3’12
7. მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, თეა კალანდაძე, მართლმსაჯულება და კანონი N2’11
8. მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, ნინო შოშიაშვილი, სამართალი N5-6, 2002 წელი
9. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებულილ ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობლემები, შალვა ჩიკვაშვილი,სამართალი, N11-12, 2002 წელი
10. მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი, დავით ლობჟანიძე, მართლმსაჯულება და კანონი, N2’13
11. მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, გიორგი ქანთარია, ვერიკო ჯგერენაია, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, თბილისი 2018 წელი, იანვარი N8

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო, და გაკოტრების საქმეებზე, თბილისი, 2009 წელი
13. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი, ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“, თბილისი, 2002 წელი
14. სანივთო სამართალი, თამარ შოთაძე, „მერიდიანი“, თბილისი, 2014 წელი
15. ქართული სანივთო სამართალი, ბესარიონ ზოიძე, თბილისი, 2003 წელი
16. მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება (ცნებებისა და საკუთრების უფლების წარმოშობის ჭრილში) სამართლის ჟურნალი, N1, 2011 წელი, ქეთევან ქოჩაშვილი
17. სამართლის თეორია, გ.ხუბუა, „მერიდიანი“, თბილისი, 2004 წელი, 196,187 გვ
18. უძრავ ნივთებზე ქონებრივი უფლების რეგისტრაციის პრინციპები ქართული და გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, ე.ლაფაჩი, სამართლის ჟურნალი, N1, 2013 წელი
19. სანივთო სამართალი, ზ. ჭეჭლაშვილი, „ბონა კაუზა“, თბილისი, 2014 წელი, გვ.196
20. საკუთრების უფლების რევოლუცია ქართულ სამართალში, ბ.ზოიძე, 2015 წლის 5-6 ნოემბრის სამეცნიერო კონფერენციის მასალებში: „საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა. სტაბილურობის ტრანსფორმაცია“, თბილისი, 2016 წელი
21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 იანვის გადაწყვეტილება, საქმე Nას -189-182-2013
22. მტკიცების ტვირთი სამოქალაქო პროცესში და მისი სუბიექტები-მოსარჩელე,მოპასუხე, მესამე პირები, ჟურნალი, ქ. კვინიკაძემ გ. ჩხაიძე, „მართლმსაჯულება და კანონი“ N1 (44), 2015 წელი, გვერდი 115-116
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 იანვრის განჩინება, საქმე Nას-1131-1064-2015
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინება, საქმე Nას - 1004-948 -2015
25. რ.შენგელია, სსკ-ის 1160 მუხლის კომენტარი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, რედ. ლ. ჭანტურია, წიგნი მეხუთე, „სამართალი“, თბილისი, 2000 წელი
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინება, საქმე N3კ/932-02
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, N2, 2005,

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, N9,2003, 2480
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო, სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007
30. ჩაჩავა სოფიო, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წელი
31. ნ.შოშიაშვილი, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები სანოტარო პრაქტიკაში.დისერტაცია. თბილისი , 2004 წელი